ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის ორშაბათობით და ხუთშაბათობით

№68 (1506) 16–19 დეკემბერი, 1996 წელი



«ზვიადისტის», «შევარდნაძისტისა» და «არავისტის» შეკითხვა ჯუმბერ პატიაშვილს

ეს იყო შავი ლაქა საქართველოს ისტორიაში

მეორე გვერდი

ლოთი ქობალია:

მე გამომიყენეს ბრმა იარაღად

მესამე გვერდი

XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

გალოკციონ ცამიძე

მეხუთე გვერდი

ტესტი პედაგოგთა ატესტაციისთვის

მეექვსე გვერდი

– ღმერთო, დაგვიბრუნე აფხაზეთი.
– ხელი გაანძრიეთ და დაგიბრუნებთ.

ა. ბოჭორიძის კარიკატურა

გალის რაიონში მოკლულ იქნა დამსახურებული მასწავლებელი ფაციკო ჯანჯულია

გალის რაიონის სოფელ რეფში აფხაზ სეპარატისტთა მიერ მოკლულ იქნა ამავე სოფლის მკვიდრი, დამსახურებული მასწავლებელი ფაციკო ჯანჯულია.

იბერია

პოლიტიკური კონსულტაციები ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის მომავალ კვირას განახლდება

სააგენტოს კორესპონდენტს მოსკოვში საქართველოს საელჩოდან აცნობეს, რომ მომავალ კვირას განახლდება პოლიტიკური კონსულტაციები ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის. მოსალოდნელია, რომ კონსულტაციებს უხელმძღვანელებენ საქართველოს ელჩი რუსეთში ვაჟა ლორთქიფანიძე და აფხაზეთის „საგარეო საქმეთა მინისტრი“ კონსტანტინე ოზგანი. კვლავინდებურად მოლაპარაკების ძირითადი თემა იქნება იმ შეხვედრის მომზადება, რომელიც უახლოეს მომავალში უნდა ჩატარდეს გალში და რომელიც უნდა მიეძღვნას გალის რაიონში ლტოლვილთა მასობრივ დაბრუნებას.

იბერია

აფხაზმა სეპარატისტებმა ტყვედ აიყვანეს სოფელ ხუმუშკურის მკვიდრი მამა-შვილი ანთიები

ერთი თვეა, რაც უგზო-უკვლოდ დაიკარგა გალის რაიონის სოფელ ხუმუშკურის მკვიდრი რაუდენ ანთია და მისი შვილი. როგორც სარწმუნო წყარო იტყობინება, ისინი ტყვედ არიან აყვანილნი და ამჟამად ოჩამჩირის რაიონში იმყოფებიან. აფხაზი სეპარატისტები ითხოვენ გამოსასყიდს, თუმცა არ არის გამორიცხული ანთიების აფხაზ ტყვეებში გაცვლაც.

იბერია

ვინ იყო ვინ?

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მეცნიერებისათვის

ჯუმბერ პატიაშვილი:

ეს იყო შავი ლაქა საქართველოს ისტორიაში

დასასრული. დასაწ. იხ. „საქართველო“ №64,65,66,67

«ზვიადისტის», «შევარდნაძისტისა» და «არავისტის» შეკითხვა ჯუმბერ პატიაშვილს

ტრადიციისამებრ, ჩვენი რუბრიკის სტუმარს დიალოგის დასასრულს ეძლევა სამი შეკითხვა. რედაქციაში შემოსული უამრავი წერილი, როგორც ადრინდელი რესპონდენტების, ისე ჯუმბერ პატიაშვილის მიმართ შინაარსობრივად სამ კატეგორიად იყოფა.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით წინა რესპონდენტების გამოგზავნილი წერილებისა, მკითხველთა შეკითხვები ჯ.პატიაშვილის მიმართ ერთობ კორექტული და არააგრესიულია. ასეულობით შეკითხვის საერთო პათოსი შემდეგია:

1) „ზვიადისტის“ შეკითხვა:

ბატონო ჯუმბერ, საჭიროდ და საგალდებულოდ მიგვაჩნია თქვენი აზრის გამოხატვა დეკემბერ-იანვრის მოვლენებთან დაკავშირებით. სასიამოვნოა, რომ თქვენ საჯაროდ არსად მოგიწოდებიათ ინტელიგენციისთვის იარაღის ხელში აღება, მაგრამ არც დაგიგმიათ ეს. გთხოვთ თქვენი აზრის გამოხატვას, ოღონდ, იმედია, ამ შემთხვევაში მაინც მხოლოდ ორი სიტყვით არ შემოიფარგლებით... სხვათა შორის, საინტერესო ისიცაა, თქვენ სად იყავით და რა განცდებით შეპყრობილი უყურებდით თბილისის ომს?

2) „შევარდნაძისტის“ შეკითხვა:

თქვენ ბატონი ედუარდისათვის არაერთხელ გიწოდებიათ თქვენი მასწავლებელი. შეგახსენებთ 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ მეცნიერებათა აკადემიაში გამართულ სხდომას.

როგორ ფიქრობთ, განა კანონზომიერი არ იყო თქვენი დამარცხება საპრეზიდენტო არჩევნებში?

3) „არავისტის“ შეკითხვა:

იყო დრო, როცა ამტკიცებდნენ – საქართველოს ჩაი და „ბორჯომიც“ შეინახავსო. დადგა დრო, როცა ამტკიცებენ, საქართველოს ურუსეთოდ არსებობა არ ძალუძსო.

რა შეუძლია საქართველოს?



უპირველეს ყოვლისა, დიდი მადლობა მინდა მოვახსენო თქვენი გაზეთის მკითხველებს იმ ინტერესისათვის, რომელიც მათ ჩემი გამოქვეყნებული პასუხების მიმართ გამოიჩინეს.

არაერთხელ მითქვამს და კვლავ ვიმეორებ, ყოვლად დაუშვებელია საზოგადოების დაყოფა მსოფლმხედველობისა და იდეოლოგიური შეხედულებების მიხედვით. სწორედ ასეთმა დაყოფამ შეუწყო ხელი ჩვენი ქვეყნის გახლეჩა-დანაწევრებას. ახლა, როგორც არასდროს, გვჭირდება შემწყნარებლობა ერთმანეთის მიმართ, განსხვავებული აზრის მოსმენის უნარი. მათი შეჯერება ბევრად წაადგება საზოგადოების გამთლიანებას და გაჯანსაღებას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. საზოგადოების დაყოფას კი რა შედეგი მოჰყვება, ამის საკმაოდ მძიმე, მაგრამ რეალობად ქცეული მაგალითია დეკემბერ-იანვრის მოვლენები, რამაც დამანგრეველი როლი ითამაშა ქვეყნის ისტორიაში. სამწუხაროდ, ეს ტრაგედია ჩვენს დროს მოხდა და თითოეული ჩვენთაგანია ამაზე პასუხისმგებელი.

ასეთი მეთოდებით ბრძოლა ძალაუფლებისათვის და ძალაუფლების დამხობისათვის დაუშვებლად მიმაჩნია, ვინაიდან იგი ადამიანების მსხვერპლთან და ნგრევასთანაა დაკავშირებული. ის, რაც ამ პერიოდში მოხდა, არ ახსოვს საქართველოს ისტორიას – ქართველმა მოკლა ქართველი, გადაწვა და დაანგრია საკუთარი დედაქალაქი, გამწარდა და გაუბედურდა ცალკეული კუთხეების მოსახლეობა. ეს იყო შავი ლაქა ჩვენს ისტორიაში.

მე, როგორც მოქალაქე, ვგრძნობ პასუხისმგებლობას ამ მოვლენებთან დაკავშირებით, მაგრამ იმხანად ჩემი პოზიციის გამოხატვას არავითარი აზრი არ ჰქონდა, ვინაიდან, ცნობილი მიზეზების გამო, ჩემს მიმართ არცთუ ისე ლოიალური დამოკიდებულება იყო.

* * *

მეცნიერებათა აკადემიაში გამართულ სხდომაზე ჩემი გამოსვლიდან მხოლოდ ერთი წინადადების მოტანა მიმაჩნია მიულებლად, რადგან ამავე გამოსვლაში, დღევანდელი გადასახედიდან, ზოგი რამ უფრო საგულისხმო და მნიშვნელოვანი ითქვა.

ერს, ქვეყანას, როდესაც მამა-მარჩენალის სინდრომი უჩნდება, როდესაც ხალხი მხოლოდ ერთ კაცში ხედავს გადამრჩენს, ეს სიკეთის მომასწავებელი არ უნდა იყოს. ამ სინდრომის დამკვიდრება ყოველთვის დამღუპველი იყო და იქნება; განსაკუთრებით კი ჩვენი მრავალტანჯული, დიდებული წარსულის მქონე ერისათვის.

საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობით მინდოდა ამომრჩეველთათვის შემეთავაზებინა არა ჩემი პიროვნება, არამედ ალტერნატიული პოლიტიკური პროგრამა, რომელიც არსებითად განსხვავდებოდა სხვა კანდიდატების პროგრამებისაგან.

ისე კი, მიუხედავად საპრეზიდენტო არჩევნების ოფიციალური შედეგებისა, თავს დამარცხებულად არ ვგრძნობ. ამ არჩევნებში მე ნათლად დავინახე ჩემი ხალხის მხარდაჭერა და თანადგომა, მიუხედავად იმ სიძნელეებისა და წინააღმდეგობებისა, რაც თან ახლდა წინასაარჩევნო კამპანიას.

* * *

საქართველოში ბოლო პერიოდში, სამწუხაროდ, აღმოცენდნენ ისეთი ვაიეკონომისტ-პოლიტიკოსები, რომლებმაც საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა მხოლოდ ბორჯომისა და ჩაის წარმოებით განსაზღვრეს. მათ ვერ გაითვალისწინეს ის დიდი პოტენციალი, რომელიც ქვეყანას გააჩნია. პირველ რიგში – ადამიანის ფაქტორი, შემდეგ მრავალფეროვნება ჩვენი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა, მრეწველობისა და ენერგეტიკის განვითარების პერსპექტივები, ბუნებრივ-კლიმატური პირობებისა და ინტეგრაციული პროცესების რეალობა. როგორც ცნობილია, ეკონომიკა პოლიტიკის გარეშე არ არსებობს. თანამედროვე პოლიტიკა კი უნდა გამორიცხავდეს უკიდურესობებს.

გზა რუსოფილიიდან რუსოფობიამდე და პირიქით, სასიკეთო არ არის. რუსეთთან ურთიერთობებში პრიორიტეტების ჩემებური ხედვა ასეთნაირად შემიძლია ჩამოვაყალიბო:

რუსეთი – თანასწორუფლებიანი პარტნიორი და არა „დიდი რუსეთი“;

რუსეთი – მეზობელი სახელმწიფო და არა „უფროსი ძმა“;

გეოპოლიტიკა და გეოსტრატეგია – არა თვითმიზანი, არამედ ეროვნული ინტერესების განხორციელების საშუალება.

თუ საქართველო რეალური დემოკრატიისა და ცხოვრების ყველა სფეროში რეალური რეფორმების გზას დაადგება, უთუოდ შეეძლებთ არსებული სიძნელეების გადალახვას, ნორმალური ცხოვრების შექმნას ჩვენი ხალხისათვის, ღირსეული ადგილის დამკვიდრებას მსოფლიო თანამეგობრობის ნამდვილად დამოუკიდებელ ქვეყანათა შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოთი ქობალია: მე გამოვიყენეს ბრმა იარაღად

დაკითხვის ოქმი 8 აგვისტო 1994 წ.
დაკითხა გენ. პროკურორის მოადგილემ ა.ბალუაშვილმა, ადვოკატ ლ.ბერიშვილის თანდასწრებით

როცა აფხაზეთში საომარი მოქმედებები დაიწყო, ყოფილი ხელისუფლება ერთ აზრზე იდგა, რომ ჩვენ აფხაზების წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობა არ მოგვეღო. პირველად ასეთი წინადადება გადმომცეს ზუგდიდში. კარგად არ მახსოვს, მგონი ეს მითხრა ოთარ უბილავამ. მან მითხრა, რომ გამსახურდიას დავალებას გადმომცემს. მთელი დაუმორჩილებლობის კომიტეტის აზრიც ასეთ იყო და პირადად მე არ შემეძლო მათი ნებართვის გარეშე საომრად წასვლა. ამ საკითხზე სულ დავა მქონდა ყოფილ დეპუტატებთან და დაუმორჩილებლობის კომიტეტის წევრებთან. ერთ დღეს, დაუმორჩილებლობის კომიტეტში ისე გამომიყვანეს მწყობრიდან, რომ იძულებული გავხდი, დამეწერა პატაკი გვარდიის სარდლის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ, მაგრამ ჩემი დაცვის უფროსმა მერაბ ოკუჯავამ დაუმორჩილებლობის კომიტეტში სახალხოდ დახია ჩემი პატაკი, მითხრა – შენ თუ ეს გააკეთე, სიტუაციას ხომ ხედავ, ესენი (ე.ი. დაუმორჩილებლობის კომიტეტი და ხელისუფლება) შენი წასვლის შემდეგ შეიარაღებულ ძალებს აფხაზების დასახმარებლად წაიყვანენო. ამიტომ კატეგორიულად მირჩია, არ დავთანხმებულიყავი გამსახურდიას გარემოცვის მოთხოვნას და დავრჩენილიყავი შეიარაღებულ ძალებში. აფხაზ სეპარატისტებს რომ მხარს უჭერდა ყოფილი ხელისუფლება, ეს აშკარად ჩანდა. ამის დასადასტურებლად ვაცხადებ, რომ, როცა აფხაზეთში, ოჩამჩირეში ჩავედი 1993 წლის აპრილში და შევხვდი ტყვარჩელის ფრონტის უფროსს ქიშმარიას სოფაგუბუდიაში, იქ მცხოვრები ერთ-ერთი მეგრელის ბინაში, მან მითხრა, რომ დიდი დახმარება გაგვწიეთ ომის დაწყების შემდეგ. თქვენებს რომ არ აეფეთქებინათ რკინიგზისა და საავტომობილო ხიდები რუხში, ჩვენი საქმე წასული იყო და საქართველოს სამთავრობო ჯარები დაგვამარცხებდნენო. სინამდვილეში ეს ხიდები ჩემი დავალებით არ აფეთქებულა.

გამსახურდია და მისი უახლოესი პირები – გელანტია, აბსანძე რომ აფხაზებთან კავშირში იმყოფებოდნენ, 1993 წლის ოქტომბერში დავრწმუნდი. ანიგვარაში მათ ჩამოიყვანეს კარგად შეიარაღებული აფხაზები და ჩრდილო-კავკასიელები მძიმე ტექნიკით ოჩამჩირიდან გამოიყვანეს სამთავრობო ჯარების საწინააღმდეგოდ, რომლებიც გამოვიყენე ხობზე მეორედ თავდასხმის დროს.

მინდა ვიყო გულწრფელი გამოძიების წინაშე და განვაცხადო – მას შემდეგ, რაც დავინახე საქართველოს ეროვნული ინტერესებისადმი ღალატი და მე გამომიყენეს ბრმა იარაღად სამშობლოს საწინააღმდეგოდ, მიუხედავდა იმისა, რომ მთელი ჩემი ცხოვრება ვფიქრობდი საქართველოსა და მისი მთლიანობისათვის მემსახურა, 1993 წლის ოქტომბრის ბოლო რიცხვებში მოხდა ის, რომ გამსახურდიამ, აბსანძემ გამომიყენეს აფხაზეთიდან შემოყვანილი მტრული ძალების ხობში შემყვანად და საომარი მოქმედებების საწარმოებლად. ხობში საბრძოლო მოქმედებაში დაილუპა ჩვენი რვა მებრძოლი, მოკლეს მხატვარი ვახტანგ ნოდია, ასევე ექიმი. უკვე სამთავრობო ჯარები გვიტევდნენ და ვტოვებდით ხობს. მე ზუგდიდის მხრიდან მოვდიოდი. ხობის ხიდთან დავინახე, რომ მაღაზიასთან სამი პიროვნება მოჰყავდათ, რომელთა ვინაობა არ ვიცოდი. მებრძოლებმა მითხრეს, ესენი მარადიორები არიანო. ყველა ზემოაღნიშნულიდან მწყობრიდან გამოსულმა ვიკვირე: რამდენჯერ უნდა გაგიშვათ, რამდენჯერ უნდა გაპატიოთ უდანაშაულო ხალხის აწიოკება–მეთქი და ჩემს ხელთ არსებული პატარა ხომის მოკლე ავტომატური იარაღიდან იმ სამი პიროვნების მიმართ მოვახდინე გასროლები. რამდენჯერ ვისროლე, არ მახსოვს. შემდგომ გავიგე, რომ ამ სამი პირისგან თითქოს ვილაც ჟურნალისტი უნდა ყოფილიყო. მე დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთი ჟურნალისტი არ იყო. იმავე წუთებში ჩემი ავტომანქანით „გაზ–31“ მარკის ქვეშისფერი „ვოლგით“ ზუგდიდში დავბრუნდი.

ჩემი კუთვნილი ავტომატური იარაღი ПМ–ს ტიპის პისტოლეტთან ერთად გამომართვა ლაგვილავამ, როცა 1993 წლის ნოემბერში ზუგდიდიდან აფხაზეთის გავლით ადლერში წავედი. ლაგვილავამ მითხრა, რომ რუსეთის საზღვარზე იარაღს მაინც არ გაგვატანდნენ და მე დამიტოვეს, რაზეც დავთანხმდი. განვმარტავ, რომ გადაწყვეტილი იყო – რა დროსაც არ უნდა გადავსულიყავი აფხაზეთის ტერიტორიაზე, სადაც ჩემი ცოლ-შვილი იყო, ხელს არ შემიშლიდნენ და გამატარებდნენ.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში წვერს არ ვიპარსავ იმის გამო, რომ დაილუპნენ ჩემი ახლო მეგობრები – მერაბ კოსტავა და ზურაბ ჭავჭავაძე. 1993 წლის ნოემბერში, როცა წავედი მოსკოვში, შემდეგ კი სუზდალში, წვერი მხოლოდ ერთხელ გავიპარსე.

მე პირადად აფხაზებისათვის საომარი მოქმედებების დროს საქართველოს სამთავრობო ძალების საწინააღმდეგო მოქმედებებში რაიმე დახმარება არ გამიწევია.

ჩვენება წავიკითხე პირადად. ჩაწერილია ჩემი სიტყვებით. სწორია.

ვ.ქობალია

თ. სიგუას გადადგომა რუსთაველის საზოგადოებას ვერ უშველის

უკვე ანეკდოტურ სახეს იღებს რუსთაველის საზოგადოების საწინააღმდეგო ქმედებები.

ჯერ იყო და მთაწმინდის რაიონის სასამართლომ აბსურდული გადაწყვეტილება გამოიტანა თავმჯდომარის თ.სიგუას გამოსახლების თაობაზე. მსგავსი პრეცედენტი სასამართლოთა ისტორიაში, ალბათ, არც არსებობს.

მართალია, თ.სიგუა თანამდებობიდან გადადგა. მაგრამ სასამართლოს ზემოთნახსენებ გადაწყვეტილების შესასრულებლად სასამართლოს აღმასრულებელი 13 დეკემბერს სახოგადოებას აკლავ ეწია... თურმე გადამდგარი თავმჯდომარე უნდა გამოესახლებინა...

მკითხველი იკითხავს, მაინც რას მოითხოვდა აღმასრულებელი. იგი ცდილობდა გამგეობის ოთახის დალუქვასა და გასაღების მეორე საზოგადოებისათვის გადაცემას, რაც გადაწყვეტილებაში აღნიშნული არ არის. საკვირველია, კანონიერების წარმომადგენელი ასეთ უკანონობას ასრულებდეს. ეს მაშინ, როდესაც წინა დღით ნ.კოჭლაშაზიანი სახოგადოებაში ბრძანდებოდა და ოქმიც შეადგინა თ.სიგუას გადადგომისა და ოთახის გამგეობის და არა თ.სიგუას კაბინეტის კუთვნილების შესახებ.

ამ კონფლიქტში პრინციპული პოზიცია დაიკავა ქალბატონმა ელენე თევდორაძემ, რომელმაც დაურეკა მთაწმინდის რაისასამართლოს თავმჯდომარეს და მოსთხოვა განმარტება, თუ რატომ უწევდა იგნორირებას პარლამენტის ორი კომიტეტის გადაწყვეტილებას, რაზეც, რა თქმა უნდა, პასუხი ვერ მიიღო.

გუბაზ მეგრელიძე

გია მურღულია: ატესტაციას არ უნდა ატარებდეს სკოლის დირექტორი!

დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №67

– მინდა მოვიტანო ერთი მაგალითი იმ დებულებიდან, რომელიც გამოჭვეფებულ იქნა და სადაც მოცემულია პედაგოგთა საატესტაციო პარამეტრები და საკვალიფიკაციო მახასიათებლები:

შეფასება 3, ქულა 30.

„სწავლების მეთოდიკის ცოდნა – ზედაპირული, გამოყენება – არასისტემატური, არაეფექტური. საადმზრდელო პედაგოგიური სიტუაციების გადაწყვეტა – ინტუიციური. ახალი მასალის ახსნისას უშვებს მეცნიერული ხასიათის შეცდომებს (მცდარი განმარტება, არაზუსტი ფაქტის მიწოდება, არასწორი დასკვნის გაკეთება), უყურადღებოდ ტოვებს მოსწავლეთა შეცდომებს. საკონტროლო შემოწმების შედეგები – 50%-მდე“.

ეს დებულება, ეს მოდელი ასეთ მასწავლებელს ტოვებს სკოლაში. ზრუნავს, რომ გაუმჯობესდეს მისი მომზადების დონე. ახლა მე გეკითხებით თქვენ: ამაზე უარესი ვინც არის, ის შეიძლება დავტოვოთ სკოლაში? ჯერ ასეთი მასწავლებელი თუ არის სკოლაში, მაშინ სირცხვილი ჩვენ, იმიტომ რომ მაშინ აბსოლუტურად არ ვიზრუნებთ ჩვენს მომავალზე, ჩვენს ბავშვებზე. რის თავისუფლება და რა დამოუკიდებლობა გვეჭნება, როცა ასეთი მასწავლებელი გვიზრდის მომავალ თაობას. მაგრამ ასეთებსაც კი ტოვებს ეს დებულება, რადგან გათვალისწინებულია არსებული რეალობები და მასწავლებლებსაც შედარებითი მიეკარ, რომ ამ ეტაპზე მეტი მოთხოვნა არ იყოს. ამაზე უარესი თუ იქნა, მაშინ რომელ ღირსებაზეა საუბარი. მასწავლებლის ღირსების დაცვა უნდა მოხდეს და იმ ოცდაათი ბავშვის ღირსება არ უნდა დავიცვათ, კლასში რომ ზის? ან ბავშვის მშობლების, ან საქართველოს ღირსება აღარ არსებობს ჭეყანაზე? თუ იმას, ვისაც ჩვენ მასწავლებელს ვუწოდებთ, უნდა შეეწიროს ჩემი, თქვენი, ჩემი შვილების, თქვენი შვილების და სახელმწიფოს ღირსება? ასეთი დაპირისპირება მე არ მინდა და არც არავის სურს, მაგრამ ფაქტი ერთია: ჩვენ გვიბიძგებენ, რომ ასეთი დაპირისპირება მოხდეს. მე ვაცხადებ კატეგორიულად, სრულიად არაორაზროვნად: ვერანაირ შემთხვევაში ვერ დაუშვებ მხარს იმას, რომ ღირსება ისე იყოს გაგებული, როგორც ზოგიერთს ესმის. ის, ვინც ღირსებას იცავს, კარგად უნდა ერკვეოდეს, რას ნიშნავს ღირსება და მე სურვილი მეჭნებოდა, რომ მეტი განათლებაც უნდა ჰქონდეს ასეთ ადამიანს. ცოტა კატეგორიული ნათქვამი კი არის, მაგრამ ფაქტი ერთია – ეს ადამიანები, რომელთაც პრეტენზია აქვთ, გაერკვნენ ამ საკითხებში, უფრო უკეთესად უნდა ჩაწვდნენ მოდელის მოთხოვნებს, რეალობებს და განათლების სისტემის განვითარების პერსპექტივას. ყველას აქვს აზრის გამოთქმის უფლება. მე პატივს მივაგებ ნებისმიერის აზრს, მაგრამ საჯაროდ მინდა ვთქვა, რაც ხშირად გამიმეორებია, იქნებ შევუზღუდოთ მაინც ადამიანებს უაზრობის გამოთქმის უფლება.

– ხომ არ იქნება ატესტაციის შედეგების გაყალბების და არაობიექტურობის შესაძლებლობა?

– მე მინდა გიპასუხოთ ამაზე შემდეგნაირად: ეს არის ისეთივე ჭორი და ისეთივე უაზრობა, როგორც ძალიან ბევრი სხვა რამ. ბოლო ატესტაცია ჩატარდა 1991 წელს. იგი ტარდება ხუთ წელიწადში ერთხელ. ახლა 1996 წელია. ატესტაცია უნდა დაწყებულიყო ამ წელს და დაიწყო კიდეც, მიუხედავად იმისა, მოსწონს ეს ვინმეს თუ არ მოსწონს. არსებობს წესი და რიგი, ჯერ წესია საქმე და მერე საქმეა საქმე, როგორც „დათა თუთაშხიაში“ წერია. ამიტომ ეს არის რიგითი ატესტაცია. არჩევანი იყო ასეთი: წინა მოდელით ჩატარებულიყო ატესტაცია თუ ახალი, უფრო პროგრესული და ობიექტურით, რაზედაც მე ორი აზრი არა მაქს. ის წინა ატესტაცია იმდენად ამორფული, იმდენად ჩამოყალიბებული, დაუბვეწავი იყო, ასეთივე საკვალიფიკაციო მოთხოვნები, საკვალიფიკაციო პარამეტრები. მე ვამბობ: „საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, „საკვალიფიკაციო პარამეტრები“, მაგრამ ძველი მოთხოვნები ახლოსაც კი არ იყო ამ ცნებებთან, იმდენად დიდ გასაჭანს აძლევდა სუბიექტივიზმს, ნებელობას. იმდენად დიდად იყო სისტემა დამოკიდებული კაცის განწყობაზე, არავითარ ობიექტურობაზე იქ ლაპარაკი არ შეიძლება. ობიექტურობა იყო ნული. ჩვენ ვიცით შემთხვევები, როდესაც ცალკეულ სკოლებში დირექტორი, ვინმე რომ არ განწყენებინა, ყველას აძლევდა II კატეგორიას. ახლაც გაიგონებთ ასეთ მოთხოვნას: „თუ ჩვენ გვინდა, მასწავლებელს პატივი მივაგოთ, ყველას ერთნაირი ხელფასი უნდა მივცეთ“. „ევფხისტყოასანი“ მაინც არა აქვს ამ ხალხს წაკითხული? „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის“. განსხვავებულნი არიან ადამიანები, მათი პროფესიული მომზადება, მათი პროფესიული საქმიანობის შედეგიანობა. როგორ შეიძლება. გათანაბრება?! მას, ვინც უკან დგას, შეიძლება მოეწონოს. ვინც კარგი მასწავლებელია, ის უნდა წავაბალისოთ, ვინც მოწინავეა, იმას არავითარი ყურადღება არ უნდა მიაქციოს ქვეყანამ? განსწავლულობა, პროფესიონალიზმი უნდა წავაბალისოთ პირველ რიგში, რომ მეორემაც მოინდომოს ამ სიმაღლეზე ამოსვლა. სკოლის დირექტორს ვინც მოსწონდა, იმას მიანიჭა უმაღლესი კატეგორია, ვინც არ მოსწონდა, საერთოდ დაჩა-

გაგრძელება მე 6 გვ

ჩატარდება საქართველოს პარლამენტის საგანგებო სხდომა

სააგენტოს კორესპონდენტს საქართველოს პარლამენტის აპარატიდან აცნობეს, რომ 23–25 დეკემბერს ჩატარდება საქართველოს პარლამენტის საგანგებო სხდომა, რომელზეც მოსმენილი იქნება სახელმწიფო კომისიის მოხსენება რუსეთის მხარესთან მოლაპარაკების მიმდინარეობის თაობაზე. მოლაპარაკება შეეხებოდა აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების გზების ძიებას, აგრეთვე საქართველო–რუსეთის ურთიერთობათა მთელი რიგი საკითხების მოგვარებას. საგანგებო სხდომაზე მოსალოდნელია აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული რფ–ის სამშვიდობო ძალების სტატუსისა და მათი მანდატის საკითხის განხილვა. საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთმა“ განაცხადა, რომ იგი წინააღმდეგი იქნება რფ–ის სამშვიდობო ძალებისათვის მანდატის გაგრძელებისა. როგორც ცნობილია, მანდატი მიმდინარე წლის 31 დეკემბერს იწურება. მოსალოდნელია, რომ საგანგებო სხდომაზე მონაწილეობას მიიღებს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

იბერია

უკრაინამ შესაძლოა შეზღუდოს თავისი ურთიერთობა საქართველოს პორტებთან

სააგენტოს კორესპონდენტს საქართველოში უკრაინის საელჩოს წარმომადგენელმა განუცხადა, რომ მოსალოდნელია უკრაინის პორტებსა და საზღვაო – სანაოსნო შეზღუდოს თავისი ურთიერთობა საქართველოს პორტებთან, ვინაიდან რამდენიმე ხნის წინ საქართველოს წყლებში რუსი მესაზღვრეების მიერ განხორციელდა საზიზღარი პროვოკაცია უკრაინული გემის წინააღმდეგ. გემი უსაფუძვლოდ იქნა დაკავებული, ხოლო მისი ეკიპაჟი კი დაპატიმრებული. ამჟამად ეკიპაჟი განთავისუფლებულია. მაგრამ უკრაინის მხარე არ თვლის, რომ ინციდენტი ამით ამოწურა. საქართველოს სასაზღვრო ჯარების მთავარსარდალმა ვალერი ჩხეიძემ განაცხადა, რომ რუსი მესაზღვრეების მოქმედება წინასწარ არ იყო შეთანხმებული ქართულ მხარესთან, არც ქართველ მესაზღვრეებთან და არც საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებთან. რუსი მესაზღვრეები კი აცხადებენ, რომ მათ წინასწარ აცნობეს აჭარის ხელმძღვანელობას თავიანთი მოსალოდნელი ქმედების შესახებ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ამზადებს საპროტესტო ნოტას რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი აღნიშნული ფაქტის გამო.

იბერია

გალში აფხაზ ბოევიკთა რაზმებია შეფეთებული

სააგენტოს კორესპონდენტს ზუგდიდიდან აცნობეს, რომ 13 დეკემბერს სადამოს, აფხაზური პოლიციის გაძლიერებული რაზმი 50 ბოევიკის შემადგენლობით შევიდა გალში, ხოლო 200–ბოევიკიანი რაზმი შეეკვანილ იქნა ე.წ. შეზღუდული შეიარაღების ზონაში (ტერიტორია გალის არხიდან მდინარე დალიძგამდე). აღნიშნულ ოპერაციას უშუალოდ ხელმძღვანელობს აფხაზეთის „უშიშროების მინისტრი“ ასტამურ ტარბა, რომელმაც განაცხადა, რომ ამ რაზმების მიზანია ქართველი დივერსანტებისაგან გალის რაიონის გაწმენდა. მისივე თქმით, ეს რაზმები იმოქმედებენ რუსეთის სამშვიდობო ძალებთან ერთად.

იბერია

თ. სიგუას გადადგომა რუსთაველის საზოგადოებას ვერ უშველის

უკვე ანეკდოტურ სახეს იღებს რუსთაველის საზოგადოების საწინააღმდეგო ქმედებები.

ჯერ იყო და მთაწმინდის რაიონის სასამართლომ აბსურდული გადაწყვეტილება გამოიტანა თავმჯდომარის თ.სიგუას გამოსახლების თაობაზე. მსგავსი პრეცედენტი სასამართლოთა ისტორიაში, ალბათ, არც არსებობს.

მართალია, თ.სიგუა თანამდებობიდან გადადგა. მაგრამ სასამართლოს ზემოთნახსენებ გადაწყვეტილების შესასრულებლად სასამართლოს აღმასრულებელი 13 დეკემბერს სახოგადოებას აკლავ ეწია... თურმე გადამდგარი თავმჯდომარე უნდა გამოესახლებინა...

მკითხველი იკითხავს, მაინც რას მოითხოვდა აღმასრულებელი. იგი ცდილობდა გამგეობის ოთახის დალუქვასა და გასაღების მეორე საზოგადოებისათვის გადაცემას, რაც გადაწყვეტილებაში აღნიშნული არ არის. საკვირველია, კანონიერების წარმომადგენელი ასეთ უკანონობას ასრულებდეს. ეს მაშინ, როდესაც წინა დღით ნ.კოჭლაშაზიანი სახოგადოებაში ბრძანდებოდა და ოქმიც შეადგინა თ.სიგუას გადადგომისა და ოთახის გამგეობის და არა თ.სიგუას კაბინეტის კუთვნილების შესახებ.

ამ კონფლიქტში პრინციპული პოზიცია დაიკავა ქალბატონმა ელენე თევდორაძემ, რომელმაც დაურეკა მთაწმინდის რაისასამართლოს თავმჯდომარეს და მოსთხოვა განმარტება, თუ რატომ უწევდა იგნორირებას პარლამენტის ორი კომიტეტის გადაწყვეტილებას, რაზეც, რა თქმა უნდა, პასუხი ვერ მიიღო.

გუბაზ მეგრელიძე

ფრანგულ-ქართული ურთიერთობების ახალი ეტაპი

საქართველოს კულტურულ–პოლიტიკური ორიენტაცია დიდი ხანია ჩამოყალიბებულია და საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ იგი დასავლეთისკენაა მიმართული. იმ ქვეყანათა შორის, რომელთაც საქართველოსთან ოდითგანვე აკავშირებს მეგობრული ურთიერთობა, გამორჩეული ადგილი საფრანგეთის რესპუბლიკას უჭირავს. მას შემდეგ, რაც „ბორიტების იმპერია“ აღარ არსებობს, საქართველოს მიეცა საშუალება, დამოუკიდებლად ჰქონდეს კავშირი ევროპის ქვეყნებთან და მათ შორის საფრანგეთთან. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდამდე იგი პასიურობდა ჩვენთან ურთიერთობაში. ეს ფაქტი თავად საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ერვე დე შარეტმა აღნიშნა ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში ვიზიტის შემდეგ მიცემულ ინტერვიუში: „ყველას აწუხებს ბოლო წლების საფრანგეთის პასიურობა“, „ეს ზონა (ამიერკავკასია) აშკარად სტრატეგიული ინტერესების მქონეა“.

საფრანგეთ–საქართველოს კულტურულ–პოლიტიკური ურთიერთობის ახალ ეტაპზე მიუთითებს ერთი ფაქტი, რომელიც უდაოდ საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისათვის. ა.წ. ივნისის თვეში საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ჟაკ შირაკისგან საქართველოში მოვიდა წერილი. მისი ადრესატი იყო სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგი, ფრანგული ენის სპეციალისტი ბ–ნი გივი სიდამონიძე. გზავნილი შემდეგი შინაარსისა გახლდათ:

„ძვირფასო ბატონო!

თქვენი წერილი და ნაწარმოები, რომელიც თან ახლდა მას, გადაეცა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს. იგი გულისხმიერად მოეკიდა თქვენს დაინტერესებას, რომელიც გამოიჩინეთ ფრანგულ–ქართული მეგობრული კავშირების გაღრმავებისადმი. ბ–ნმა შირაკმა დამავალა, მადლობა გადაგიხადოთ თქვენი გზავნილებისათვის, რომელსაც იგი დიდი გულისყურით გაეცნო. საუკეთესო სურვილებით

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ყამსახურის კაბინეტის ხელმძღვანელი ანი ლერიტიე“.

ამ ინფორმაციის მიღების შემდგომ უფრო დაწვრილებითი ცნობებისათვის მივმართეთ ბ–ნ გივი სიდამონიძეს, რომელიც თავაზიანად დაგვეთანხმა, ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე კითხვაზე გაეცა პასუხი.

– ბ–ნო გივი, ჩვენთვის და ჩვენი მკითხველებისათვის ძალზე საინტერესოა, რა ნაწარმოებზეა საუბარი იმ წერილში, რომელიც თქვენ საფრანგეთიდან მიიღეთ.

– ა.წ. ივნისის თვეში საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ჟაკ შირაკს სარუქრად გავუგზავნე ფრანგულ ენაზე შესრულებული პიესა სათაურით „ფარისეველთა ფერხული“ (LA RONDE DES FARCEURS), რომელიც მიეძღვნა დიდი ფრანგი კომედიოგრაფის ჟან–ბატისტ მოლიერის ხსოვნას. ასლები კი მიიღეს საფრანგეთის პრემიერ–მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის კაბინეტებმა, ცნობილმა ჟურნალისტებმა და, რაღა თქმა უნდა, მოლიერის მიერ დაარსებულმა თეატრმა „კომედი ფრანსეზმა“. როგორც მოგეხსენებათ, პასუხად საფრანგეთის პრეზიდენტისაგან მივიღე წერილობითი მადლობა.

– რა არის ამ ნაწარმოებში ასახული?

–„მოქმედი გმირები და სამყარო ნაწარმოებისა წარმოსახვითია და მასში ასახულია ფრანგულ–ქართული ურთიერთობანი.

– ქართველი კაცი წერს პიესას ფრანგულად და აგზავნის საფრანგეთის პრეზიდენტთან. რა მიზანს ემსახურებოდა თქვენი ეს ქმედება?

– მამოძრავებდა ერთადერთი მიზანი: როგორღაც მიმეღწია იმისათვის, რომ საფრანგეთის იდეოლოგიურად დამოკიდებულება საქართველოსადმი შეცვლილიყო ინტენსიური ურთიერთობით. საშუალება ამ მიზნის მისაღწევად კი ჩემი პიესა აღმოჩნდა. ფორმაც პიესისა ფრანგებისათვის ძალზე ახლობელი და მისაღებია და მეც არ მეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ გამოხმაურება უეჭველად იქნებოდა. მართლაც, ჩემი მიზანი განხორციელდა, დაუყოვნებლივ მივიღე პასუხი. მე არ შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი ნაწარმოები ლომის წილს დაიდებს საფრანგეთ–საქართველოს კულტურულ–პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავებაში, მაგრამ მწამს, რომ მცირეოდენი რამ მაინც გაკეთდა.

ესაუბრა
ანა ჯუღელი

შენ კი მართალი ხარ, ბორის, მაგრამ...

ანუ ორი რუსეთი მართლაც არსებობს – საქართველოსთვის ცუდი და უფრო ცუდი...

ყველას ახსოვს კომუნისტთა დალმასელის უკმ მე–19 პარტიულ კონფერენციაზე ეკლიგაჩოვი როგორ უკიჟინებდა მაშინ ახალგაპოზიციონერებულ ბელცინს: „ბორის, შენ არ ხარ მართალი!“

მას შემდეგ ელცინი გამუდმებით ცდილობს დაუმტკიცოს თავისი სიმართლე მოწინააღმდეგეებს, რომლებიც დღითიდღე უმრავლდება.

მისმა უკანასკნელმა გადაწყვეტილებამ კი მათი რიცხვი შეუდარებლად გაზარდა. საქმე ეხება ბრძანებულებას ჩეჩნეთიდან 27 ივნისამდე – იჩქერიის პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნების დღემდე, ორი უკანასკნელი რუსული მოტომსროლელი ბრიგადის გამოყვანის შესახებ.

ოპოზიციას ასე მტკივნეულად არაფერი აღუქმამს, თვით ზიუგანოვის საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხებაც კი. მათ მაშინვე მოითხოვეს პრეზიდენტისა და მთავრობის გადადგომა, რომლებმაც მასხადოვთან ახალი სამშვიდობო ხელშეკრულებები დადეს და „საწყისი დაუდეს კავკასიის დაკარგვას“.

მორიგი შეთანხმების ხელმოწერას (პირველის გამო ამ ზაფხულს რუსეთის პარლამენტმა ლებედი გადასცა ანათემას) უშიშროების საბჭოს ახალ ხელმძღვანელთა აქტიური სამოგზაურო ეპოპეა უძღოდა წინ. ივან რიბკინი რამდენჯერმე ეწვია გროზნოს, მისი მოადგილე ბორის ბერეზოვსკი კი, ჩეჩნეთთან ერთად, ერთხელ ეწვია ბაკოსა და ერევანს და ორჯერ პოლიტიკის პატრიარქს, როგორც თავად უწოდა, ედუარდ შევარდნაძეს თბილისში.

მაშინ არავის დასცდენია სიტყვა ვიზიტების მიზნის შესახებ, მაგრამ ცხადი იყო, რომ ძველი პრობლემის გადაწყვეტას ახალი ხალხი ახლებურად ცდილობდა.

ვინ არის ბერეზოვსკი? რუსეთის ერთ–ერთი ყველაზე წარმატებული და გავლენიანი ბიზნესმენი, „ლოგოვაზის“ მფლობელი და „ორტ“–ს თანამფლობელი. საქმეში მისი ჩართვით ჩეჩნეთის საკითხი ახალ სიბრტყეში გადადის – ის, რაც ვერ შეძლეს მოსკოვის ტანკებმა და „ურაგანებმა“, უნდა გაკეთოს ფულმა.

ბორის ელცინი სწორად მოიქცა, როდესაც კონფლიქტის მოგვარებაში „ახალი რუსები“, კაპიტალის წარმომადგენლები, ჩართო. სწორად მოიქცა ასევე ბორის ბერეზოვსკიც, რომელმაც ადრევე შეატყო ჩეჩნებს საქართველოსთან ურთიერთობის გაუმჯობესების სურვილი და დასწრო მათ პირველი ნაბიჯების გადმოდგმა. მოკლედ, ორმა ბორისმა ორჯერ ზედიზედ გააკეთა ის, რაც მათ ქვეყანას იშვიათად მოსდის – სწორი და, რაც მთავარია, პერსპექტიული სვლები.

რას მისცემს რუსეთს ჩეჩნეთში კაპიტალის ამოქმედება? მას ეჭება შანსი მიაღწიოს დღევანდელი შესაძლებლობების მაქსიმუმს: გამოვიდეს მდგომარეობიდან სახელმწიფოებრივი ავტორიტეტის უმცირესი შელახვით და ამავე დროს მიიღოს თავის ტერიტორიაზე ნავთობსადენის უსაფრთხო გატარების გარანტია, რადგან ნავთობის ტრანსპორტირების მოგებით თავად ჩეჩნებიც ძლიერ არიან დაინტერესებულნი. თუმცა დანარჩენ პუნქტებში უკვე შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ მოსკოვის თამაში წაგებულია – ჩეჩნეთი საბოლოოდ დაადგა იმ გზას, რომელიც ადრე თუ გვიან რუსეთიდან გაიყვანს. უკანასკნელი გადაწყვეტილებაც ორი ბრიგადის გამოყვანის შესახებ ამ რეალობის იძულებითი აღიარებაა – ძალისმიერმა მეთოდებმა ჩეჩნები მხოლოდ დააშორა რუსეთს.

დღეს იანდარბიევის მთავრობა სულ უფრო ხმამაღლა აყენებს მოთხოვნას კონტრიბუციის შესახებ. რუსეთის არმიის მიერ მიყენებული ზარალი 150 მილიარდდაა შეფასებული, ანუ 200 ათას დოლარად თითოეულ ჩეჩენზე. ნავთობმაგისტრალისა და გროზნოს გადამამუშავებელი ქარხნის ამოქმედებაში ხელშეწყობა მოუხსნის მოსკოვს ამ თანხის გადახდის პრობლემას – 150 მილიარდი ხომ რუსეთის საგარეო ვალზე მეტია.

მოკლედ, ახალი „ბერეზოვსკისეული“ პოლიტიკა რუსეთს მცირე ტერიტორიის სანაცვლოდ ჰპირდება საერთაშორისო ავტორიტეტის გამყარებას, მშვიდობას, კონტრიბუციის „ჩამოწერასა“ და საკმაოდ სავალუტო მოგებას.

მაგრამ აქ თავს იჩენს საშიშროება, რომელიც არ აძლევს მშვიდი ძილის საშუალებას ოპოზიციასა და „ძველ რუსებს“ – ის მცირე ტერიტორია მეტად მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ერთ წყეულ მილს გადააყოლონ. წინა საუკუნეში იმპერია ორმოცდაათი წელი იბრძოდა იმ მიწისა და ხალხის დასამორჩილებლად, ახლა კი მათი გაყოფა ორ თვეში განუზრახავთ.

ჩეჩნეთიდან რუსეთის ჯარის გასვლა მოსკოვის ფეხის საბოლოო ამოკვეთას ნიშნავს და ეს მხოლოდ ჩეჩნეთს არ ეხება. პარალელურად ჩნდება ცენტრიდანული ტენდენცია ყაბარდო–ბალყარეთში, სადაც არანაზე გამოდის „ბალყარელი დუდაევი“, საქართველოს უახლეს წარსულში მყარად დამკვიდრებული გენერალი ბაკაევი; არაფერი უკლია ინგუშეთის განდგომას – დღეს მას მხოლოდ ოსებთან კონფლიქტით აკავებენ; ასევე არაერთ გაუკვირდება, თუკი რაიმე სახის გაფართოებულ სუვერენიტეტს მოითხოვენ დალესტნელები და ა.შ. უკეთესი პერსპექტივა რუსეთს არც სხვა მუსლიმანურ ავტონომიებში აქვს – თუნდაც იგივე თათრეთში.

ისტორია დანამდვილებით მოწმობს – რუსეთი მხოლოდ მაშინ იყო ძლიერი, როდესაც მის არმიას გამარჯვების სურვილი და შესაძლებლობა გააჩნდა. დღეს კი ოდესღაც ძლევამოსილმა წითელმა არმიამ ჩეჩნეთში სრული არაბრძოლისუნარიანობა დაამტკიცა „ბანდფორმირებებთან“ ბრძოლაში. ამიტომაც, თუკი აღმოჩნდება, რომ ხუთასი წლის ნაკოწიწევი იმპერიის ნგრევა 1991 წლის დეკემბერში მიღებული ერთჯერადი აქტით არ დასრულებულა, ეს მხოლოდ მოვლენათა ლოგიკური შედეგი იქნება.

ელცინის გადაწყვეტილებას იჩქერიიდან ბრიგადების გაყვანის თაობაზე ჩეჩნებმა „უკანასკნელი 300 წლის მანძილზე რუსეთის ყველაზე დიდი კავკასიური გამარჯვება“ უწოდეს. რა გამარჯვებაცაა ეს, მოსკოვში სხვაზე კარგად იციან, მაგრამ თავს ზვეთ რომ ძალა აღარაა?

რასაკვირველია, ცვლილებები მოხდება ქართულ–რუსულ ურთიერთობებშიც. ეს ჩანს უკანასკნელი დღეების ვიზიტებიდანაც – საქართველოში ჩამოვიდა რუსეთის საპარლამენტო დელეგაცია ქვედა პალატის თავმჯდომარის გენადი სელეზნიოვის ხელმძღვანელობით და, მის პარალელურად, რუსე-

გაგრძელება მე–6 გვ

● ეს ძალიან საინტერესოა

რა ხოცავს ამერიკის პრეზიდენტებს და, საერთოდ, ცოტა რამ მათ შესახებ

ასტროლოგია თანდათან აღწევს აღიარებას მეცნიერებათა სიერცეში, როგორც სამყაროს ელექტრომაგნიტური ველის შესწავლის საშუალება. მეცნიერები ერთხმად აღიარებენ, რომ კოსმოსი უხილავად მოქმედებს ადამიანზე. მაგრამ ის ძალები, რომლებიც განაპირობებენ პირად ბედ–იღბალსა და პიროვნულ საქციელს, უხილავნი და შეუცნობელნი რჩებიან. მაგალითად, უცნაური დამთხვევა: იუპიტერი და სატურნი საიდუმლო სახით არიან დაკავშირებულნი ამერიკის ყველა პრეზიდენტის სიკვდილთან, თუკი ისინი იმ წელს იყვნენ არჩეულნი, რომელიც ნულზე მთავრდება. ზოგმა პრეზიდენტმა აქედან სწორი დასკვნა გააკეთა და შეეცადნენ გაერღვიათ საბედისწერო წრე–არჩევნების წელი შეცვალეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იმდენად ნულით დაბოლოება არ მოქმედებს, რამდენადაც ციური სხეულების განლაგება მოქმედებდა პრეზიდენტის ხელისუფლებასთან მოსვლის ბედ–იღბალზე.

ყველაფერი ჰენრი ჰარისონით დაიწყო, რომელიც 1840 წ. აირჩიეს პრეზიდენტად და ამავე წელს ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. ოცი წლის შემდეგ 1860 წ. აბრაამ ლინკოლნი აირჩიეს პრეზიდენტად, მაგრამ 1865 წ. იგი მოკლეს.

1880 წელს, ჯ.ი. ლინკოლნის არჩევიდან 20 წლის შემდეგ, პრეზიდენტად აირჩიეს ჯეიმს გარფილდი, რომელიც 1901 წ. მოკლეს. 1920 წ. პრეზიდენტად არჩეულია უორენ გარდინგი, რომელიც გარდაიცვალა უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 1925 წ.

1940 წ. მესამედ ირჩევენ ფრანკლინ რუზველტს, მაგრამ ისიც გარდაიცვლება 1945 წ. მეოთხე ვადის დაწყებამდე (დასაწყისში).

1960 წ. პრეზიდენტად ირჩევენ ჯონ კენედის და ჰკლავენ მას 1963 წ.

ყველა აღწერილ შემთხვევაში „ნულოვან წელს“ არჩეულნი მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში, როდესაც იუპიტერი და სატურნი ურთიერთშერწყმის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, რაც ყოველ 20 წელიწადში ერთხელ მეორდება. თუ სკეპტიკოსები იტყვიან, რომ ეს ყველაფერი „შემთხვევითი დამთხვევაა“ – მაშინ ლინკოლნსა და კენედის ბედ–იღბალს შორის მრავალი უცნაურობაა. ამ ორი პრეზიდენტის ბედი ასწლოვანი უხილავი ძაფითაა შეკრული (1860–1960). ეს კავშირი აშკარაა. ინტელექტუალი ვერ უარყოფს ამ კავშირს „შემთხვევითობის გამო“. ორივეს შემცველელი პრეზიდენტები სამხრეთელები იყვნენ – ორივე გვარად ჯონსონი, ორივე იყო სენატორი.

ლინკოლნის მემკვიდრე ენდრიუ ჯონსონი დაიბადა 1808 წ. კენედის – ლინდონ ჯონსონი კი 1908 წ. ლინკოლნის მკვლელი დაიბადა 1839 წ. კენედისა კი – 1939 წ.

ორივე პრეზიდენტის მკვლელები მოკლეს გასამართლებამდე.

ლინკოლნმაც და კენედმაც თავიანთი პრეზიდენტობისას ბავშვები დაკარგეს. ლინკოლნის მკვლელმა ჯონ ბუტმა – პრეზიდენტს თეატრში ესროლა და ფარდულში მიიმალა. კენედის მკვლელმა ლი ოსვალდმა ესროლა და თეატრში მიიმალა.

ყოველი მათგანის სრული სახელი ინგლისურად 15 ასოს შეიცავს. ორივე პრეზიდენტის მემკვიდრეთა სახელებიც ასევე 15–15 ასოს შეიცავენ. ლინკოლნიცა და კენედიც მესამე ათწლეულზე დაჭორწინდნენ. მათი მეუღლეები 24 წლის ძლიერ ლამაზი ქალები იყვნენ, ორივე შავგრემანები, ორივე ბრწყინვალედ ლაპარაკობდა ფრანგულად.

ლინკოლნის მდივანი იყო გვარად კენედი და იგი ცდილობდა დარწმუნებინა ლინკოლნი, არ წასულიყო იმ საბედისწერო დღეს თეატრში. კენედის მდივანი იყო გვარად ლინკოლნი, რომელიც ასევე ეკვდრებოდა კენედს, არ წასულიყო დალასში, სადაც იგი მოკლეს.

აბრაამ ლინკოლნს ჰყავდა ბიძაშვილი – სენატორი, მეორე ბიძაშვილი იყო ბოსტონის მერი. ერთ–ერთმა ნათესავმა ლუკი ლინკოლნმა დაამთავრა ჰარვარდის უნივერსიტეტი და აშშ–ს პროკურორი გახდა.

რობერტ ლინკოლნი – პრეზიდენტის შვილი, 45 წელი გახლდათ ლონდონში ელჩად.

ასევე ჯონ კენედის ნათესავებიც: ტ.კენედი – სენატორი, რობერტ კენედი – ასევე ჰარვარდის განათლებით – აშშ–ს გენერალური პროკურორი, შემდეგ სენატორი. კენედის პაპა იყო ბოსტონის მერი, მამა – ლონდონში ელჩი.

100 წლის დაშორებით იბრძოდნენ ისინი ძალაუფლებისავის 1856–1956 წ. წინასაარჩევნო პერიოდი მეტად დრამატული იყო. ლინკოლნი ეპაექრებოდა სტეფან დუგლასს, კენედი–რიჩარდ ნიქსონს. როგორც ლინკოლნი, ასევე კენედი ზანგების სამოქალაქო უფლებებისათვის იბრძოდნენ. ორივე პრეზიდენტი: ლინკოლნი და კენედი კეფაში ნასროლი ტყვიით მოკლეს, ორივე მეუღლის თანდასწრებით, ორივე გარდაიცვალა პარასკევს.

ყველა ეს საოცრება ორი პრეზიდენტის ცხოვრებიდან უდავოა, ისინი შემთხვევითი თანხვედრილობით არ აიხსნებიან.

ახლა კი ზოგი რამ საერთოდ ამერიკის შესახებ. ეს თავისებურებანი ის გახლავთ, რომ საერთოდ აშშ–ს შექმნა მისტიურობასთანაა დაკავშირებული. ამაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტი:

გადამწყვეტ მომენტში, როდესაც ამერიკელებს ინგლისის წინააღმდეგ განმთავისუფლებელი ბრძოლა უნდა დაეწყოთ, ამერიკელები ყოყმანობდნენ. ამ დროს დარბაზში, სადაც გაძლიერებული დაცვა საშეს გარეშე არავის უშვებდა და თვით შეკრებაც იმდენად გასაიდუმლოებული იყო, რომ არც ერთი კორესპონდენტი არ იყო დაშვებული, გამოჩნდა მიმზიდველი გარეგნობის მაღალი ჭაღარა ადამიანი, რომელმაც მგზნებარე სიტყვით აანთო ამერიკელები და თავისი გამოსვლა დაამთავრა სიტყვებით: „მიიღეთ თავისუფლება“. ეს იყო გადამწყვეტი მომენტი და განმთავისუფლებელი ბრძოლაც დაიწყო. თვით ორატორი კი გამოსვლის შემდეგ მშვიდად ჩამოვიდა ტრიბუნიდან და დარბაზიდან გავიდა... მაგრამ როცა გონს მოეგნენ, ვერავინ გაიგო არა მარტო ის, თუ საიდან შემოვიდა იგი დარბაზში, არამედ დარბაზიდან გასვლის შემდეგაც არავინ აღმოჩნდა მისი მნახველი. ეს იყო იმდროინდელი დიდი საიდუმლოება, თუმცა დღეს შეიძლება ითქვას იმ დიდი სულიერი მოძღვრის სახელი – სენ–ჟერმენი. მან შექმნა ამერიკა და იგია მისი სულიერი მფარველი. ამიტომაა, რომ აშშ–ს პრეზიდენტებს დიდი დამსახურებული აღიარება აქვთ მსოფლიოში და შესაბამისად განუზომელი გავლენაც, რადგან მსოფლიოს ხალხები მასში მშვიდობის ბურჯს ხედავენ და თუ რატომ, ეს სენ–ჟერმენის მიერ აშშ–ს არსში ჩადებული სიტყვიდან – „თავისუფლება“ გამომდინარეობს. ძვირად დაუჯდათ ამერიკელებს თავისუფლება. ზარალის მაგალითია პრეზიდენტის რეზიდენცია – კანცელარიის შენობის დანგრევა 1814 წ., რომელიც 1800 წელს იყო აშენებული. 1815 წ. აღადგინეს შენობა, სქელი თეთრი საღებავით გადაღებეს და დაარქვა კიდეც „თეთრი სახლი“.

ამერიკის თავისუფლებისა და მშვიდობისაკენ მისწრაფება მრავალი ფაქტითაა დადასტურებული და ბოლო საოცარი გამოცდილება ამისა ბილ ქლინთონმა მეორე ვადით პრეზიდენტის პოსტზე არჩევის შემდეგ პირველივე განცხადებით გამოხატა. იგი დაპირდა საქართველოს გამთლიანების საკითხში უშუალო თანამშრომლობას.

თამაზ თავაძე

XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

გალაკტიონ ტაბიძე

ბიოგრაფია

ნოდარ გრიგალაშვილი

„ან გიცხოვრია მენ ქვეყანაზე
მენ გაიარე სიცოცხლის ახლო“

არაფერი დაშავდება, თუ პოეტის ბიოგრაფიის თხრობას ლექსით დავიწყებთ. ლექსის სათაურია „ლეგენდა“. ავტორი მისი გახლავთ შოთა ნიშნიანიძე.

„თქვეს ერთხელ სამთა ანგელოსთა
– როგორ დავბადოთ
კაცი ყველაზე ბედნიერი და
უბედურიც,
რა დავაწყვლოთ ან ისეთი რა
დავანათლოთ
ათასჯერ ბედის თქვას მადლობა და
საყვედურიც?
პირველად თეთრმა ანგელოსმა
წარსდგა ნაბიჯი:
დავბადოთ კაცი მდიდარიო, მაგრამ
მახინჯი.
წითელმა: ის სჯობს, ყრმა ოცნებებს
ნუღარ მიეცეს,
ულამაზესი იყოს მაგრამ
უღარიბესიც.
ბოლოს კი შავი ანგელოსი
წამოიმართა
და შავი სიტყვა განუცხადა ცათა
ბინადართ:
სასჯელი გინდათ? მაშინ დიდი კაცი
დავბადოთ,
სახელ-დიდებით შესწედებოდეს
ცათა კაბადონს.
ოღონდ დავბადოთ სულელთა
მედროშე,
უთუოდ მგოსნად
და უთუოდ –
საქართველოში...
იმ ღამეს ჭყვიშთან ვერ დიოდა
წყნარად რიონი,
თურმე იმ ღამეს დაიბადა
გალაკტიონი“.

და იგი იქცა მართლაც ყველაზე ბედნიერ და უბედურ კაცად...

გალაკტიონი ბედნიერ ვარსკვლავზე დაიბადა როგორც პოეტი. ქართული პოეზიის უკვდავ მგოსანთა თანავარსკვლავედს: რუსთაველს, გურამიშვილს, ბარათაშვილს, ილიას, აკაკის, ვაჟას ერთი მნათობი აკლდა და მეოცე საუკუნემ ქართული პოეზიის პარნასზე კიდევ ერთ პოეტს მიუჩინა ადგილი.

7 საკრალური ციფრია და ეს თანავარსკვლავედი გალაკტიონით შეივსო...

მაგრამ უბედური იყო იგი პირად ცხოვრებაში. გზააბნეული, მიუსაფარი, უმეგობრო. „მარტოობის ორდენის კავალერი“, – როგორც ტიციან ტაბიძე იტყოდა. თითქოს შემთხვევით მოხვედრილიყო ამ ქვეყანაზე. უყვარდა სიცოცხლე, თან მუდამ გაურბოდა მას.

„არ გიცხოვრია შენ ქვეყანაზე
შენ გაიარე სიცოცხლის
ახლო“

უფრო მწარედ ამოთქმა საკუთარი ცხოვრების არსისა შეუძლებელია. ან ამ თვითირონიას დაუკვირდით:

„სინამდვილეს არ ვემდური,
არ ყოფილა თითქმის,
არყოფილზე საყვედური
მითხარ როგორ ითქმის?“.

არადა იყო სინამდვილე – „მწარე და ძვირფასი“. მწარე მისი მოუწესრიგებელი ცხოვრებისა და დროის უკუღმართობით გამოწვეული. ძვირფასი კი იმით, რომ პოეტის დაწვამ ტკივილების ცეცხლზე წმინდა ნათელი. გამოსცა, რომლითაც შუქფენილია ფიქრთა მისთა მოზიარე მკითხველი...

გალაკტიონი დედის საფლავთან
ვახტანგ ბურგაძის ფოტო

გალაკტიონის წინაპრები

გალაკტიონ ტაბიძე დაიბადა 1891 წლის 17 ნოემბერს სოფელ ჭყვიშში (ვანის რაიონი). მამამისი, ვასილ ტაბიძე, ვერ მოესწრო გალაკტიონის ხილვას. როცა სრულიად ახალგაზრდა, 23 წლის ვასილი მიიცვალა, მისი მეუღლე – მაკრინე ადეიშვილი ორი თვის ფეხმძიმე იყო. ოჯახი ობლად დარჩა. ორი შვილის აღზრდა, გალაკტიონის და მისი უფროსი ძმის აბესალომისა, ქვრივ ქალს მოუწია, მაგრამ ბავშვები ისე წამოიზარდნენ, გაჭირვება არ უგრძვნიათ. „მე მქონდა ძალიან კარგი, უდარდელი ბავშვობა“ – იგონებდა გალაკტიონი.

მის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში ვკითხულობთ: „ჩემი წინაპრები – მამის მხრით იყვნენ მწიგნობრები. დაწყებული მე-14 საუკუნიდან კი განუწყვეტელი რიგით, თაობიდან თაობაზე მოდის საგვარეულო ეკლესიისადმი ფანტასტიური, შეუცვლელობითი უერთგულესი მღვდელმსახურება. ერთი წინაპართაგანი, რომელსაც იცნობს ქართული მწიგნობრობის ისტორია, მე-17 საუკუნეში მიიწვია დედოფალმა ანნამ თავისი მდიდარი წიგნსაცავის მოსაწესრიგებლად. ეს იყო საუკეთესო მცოდნე ბერძნულისა და არაბულის ენების, სთარგმნიდა პლატონის დიალოგებს და ეხლაც ხშირად მხვდება ეს თარგმანები ინტიმური ზედწარწერებით: „მათს უმაღლესობას დედოფალს ანნას – სვიმეონ ტაბიძისაგან“. დედოფალ ანნასთან ერთად მიემგზავრება შემდეგში იგი მოსკოვში და იქ მონაწილეობას იღებს ქართული სტამბის დაარსების საქმეში.

ჩემი წინაპრები დედის ხაზით მოდიან აფხაზეთის მეფეების შერვაშიძეთა გვარიდან – ჩემი დიდედის, გურული ქალის, ბერიძის დედა იყო შერვაშიძის ასული. ამგვარად ჩემში არის სამნაირი ქართული სისხლი: აფხაზეთის, გურულისა და იმერლის“.

მწიგნობრული ტრადიციების მქონე ოჯახში, ცხადია, ყმაწვილებიც წიგნის სიყვარულით იზრდებოდნენ. მით უფრო, გალაკტიონს და აბესალომს მამისაგან დარჩათ საკმაოდ ვრცელი წიგნთსაცავი მე-18 და მე-19 საუკუნის გამოცემებით.

„დედა ნანომს, ტომ დამღუპა და ნამდვილ გზას ამაცდინა“

დედამ რვა წლის გალაკტიონის ქუთაისში წაყვანა და სასწავლებელში მიბარება გადაწყვიტა. ქალაქად შვილის რჩენა იმ დროს თვით თავადების ოჯახებსაც კი უჭირდათ. ამიტომ დედის გადაწყვეტილებას მისი მაზლი, იუსტინე ტაბიძე კმაყოფილი ვერ შეხვდა, გალაკტიონმა ამის შესახებ პატარა მოგონება დაგვიტოვა:

„ მახსოვს: მე – პატარა, დედაჩემი და ბიძაჩემი ვართ ბიძის აივანზე. ბიძა წამოწოლილია სკამლოგინზე. მე და დედაჩემი ფეხზე ვდგავართ.

– კარგია, მიდიხართ, მიგყავს ბავშვი ქუთაისში. შენ მას იქ თავს უნდა დაადგე, აქ სახლს რას უშვრები?

– სახლს ჩავკეტავ. შინ მაინც არაფერია ისეთი.

– არის, ვიცი, რომ არის.

– სახლი თქვენი სახლის წინ დგას. თქვენ მიხედავთ ხოლმე.

– არაფერსაც არ მიგხედავთ. არავითარი საშუალება თქვენ არა გაქვთ, რომ ბავშვები აღზარდოთ. დარჩით სოფელში. ბავშვი ნურსად მიგყავთ. ეს არის ჩემი რჩევა. არ შემიძლია. საწყალი ვასილის სიკვდილის წინ უკანასკნელი სიტყვები იყო: ბავშვებს მიხედე. ბავშვები გაუნათლებელნი არ დატოვო, ჩემი ძმა იუსტინე დაგეხმარებაო...

მახსოვს, დედაჩემს თვალთაგან ცრემლი გადმოსკდა.

მე არაფრის დახმარება არ შემიძლია. მე თვითონ საშინელ გაჭირვებაში ვარ.

– მე თქვენ არაფერს გთხოვთ, – უპასუხა დედაჩემმა, – მე მხოლოდ რჩევისათვის მოგმართეთ“.

ვინ იცის, რამდენჯერ ინანა გალაკტიონის დედამ, რომ მაზლის რჩევა არ მიიღო, რომ შვილი შინ არ დატოვა და თუნდაც მეხრედ არ გამოზარდა. მაკრინე სოფლელი ქალი იყო. დაქვრივებულსა და ფრთამოტეხილს ვაჟები „ნასტავლ“ კაცებად სურდა გამოეზარდა, სასულიერო სასწავლებელს დაამთავრებდნენ, ანაფორას ჩაიცვამდნენ და სოფელსაც არგებდნენ და უკაცო ოჯახსაც ფეხზე წამოაყენებდნენ. უფროსმა „შვილმა გაუმართლა კიდეც, მაგრამ გალაკტიონი? გალაკტიონს არ ეშველა არაფერი. ვერა და ვერ მოიწყო ცხოვრება. თვითონ გახდა მისახედი. „მე ვხედავ სიზმრებს არა თქვენებურს“–ო, ამბობდა. სხვაგან ჰქრიდა მისი გონება. მართალია, სასახელო კაცი გახდა, პოეტების მეფედაც აღიარეს, მაგრამ პირად ცხოვრებას ბოგანოსავით ატარებდა. დადიოდა სამოსელშელახული, უფუღო, უპურო, დედის სანახავად ველარ იცლიდა. წლები ისე გავიდოდა, სოფელში ფეხს არ შემოსდგამდა...

ყანაში თოხის ტარზე დაყრდნობილ, მძიმედ ჩაფიქრებულ დედას ვინ იცის რამდენჯერ აკვნესებია გული, რომ უცნაური შვილი უბიდან მოიცილა...

„დღეს დედაჩემისაგან მივიღე წერილი. საწყალი დედა! იგი შერიგებას მთხოვს, იგი ნანობს, რომ დამღუპა და ნამდვილ გზას ამაცდინა“ – ვკითხულობთ გალაკტიონის პირად წერილში...

* * *

ცოტა არ იყოს წინ წავუსწარით მოვლენებს. იმას ვამბობდი, დედამ ბავშვის ქუთაისში წაყვანა გადაწყვიტა–მეთქი. 1899–1907 წლებში გალაკტიონი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა. „იქ ვცხოვრობდი ანდრო წერეთლის სახლში – წერს ავტობიოგრაფიაში, – ვსწავლობდი ძალიან საშუალოდ, მაგრამ მასწავლებლები კარგად მეპყრობოდნენ მაინც, როგორც ახალგაზრდა მგოსანს (როდის დავიწყე წერა ლექსების, მოთხრობების, რომანების, არც მახსოვს)“.

შვილის „ძალიან საშუალოდ“ სწავლის გამო მაკრინე გულმოკლული იწერებოდა სოფლიდან. „ფიქრიდან განუშორებელო შვილო ჩემო გალაკტიონ! პირველად შენ მშვიდობას და კარგად ყოფნას ჩვენ მოწყალე ღმერთს ვთხოვ. ამას გარდა ჩვენ, შვილო, კარგად ვართ. შენი ჯავრის მეტი არა მიშავს: შენ რაკი ჩემთან იყავი მიჩოეული და მე შენთან, და ეხლა განშორებული მყავხარ. თუ ივარგებ, არა მგონია... აბა შენ იცი, თუ ივარგებ. თავი საქმეა ყოფაქცევა და მერმეთ კარგი სწავლა. კარგი თვარა გაჭირვებული სწავლა რა არის!“

გალაკტიონისთვის კი „თავი საქმე“ ლექსების წერა გახლდათ. პოეზიის გარდა არაფერს ფასი არ ჰქონდა მის თვალში. დროს კი არ კარგავდა, კი არ ზარმაცობდა, დღე და ღამეს ასწორებდა. ოღონდ ეს იყო, სასწავლო საგნების პედანტურად გაზუთხვას ლიტერატურის კლასიკოსთა წიგნების კითხვას არჩევდა. ის დღე დღედ არ მიაჩნდა, თუ რაიმეს არ ჩაიწერდა, რამეს არ წაიკითხავდა, ამიტომ იყო, 1908 წელს, თბილისის სასულიერო სემინარიაში გადმოსვლისას, საკუთარი ლექსებით უკვე სქელი რვეული ჰქონდა სავსე. 1908 წელსვე დაიბეჭდა მისი პირველი ლექსები „მთვარე კაშკაშებს“ და „ღრუბელი“. მას შემდეგ გალაკტიონმა 7 ათასზე მეტი ლექსი დაბეჭდა, მაგრამ უკვდავებასთან წილნაყარი პოეტი ისევ ისეთი ბავშვური, წმინდად გულუბრყვილო დარჩა, როგორიც იმ დღეს, როცა პირველად შეაბიჯა „ახალი კვალის“ რედაქციაში.

1910 წელს გალაკტიონმა სემინარია მიატოვა და ხარაგოულის მახლობლად სოფელ ფარცხნალში დაიწყო მასწავლებლობა. მცირე ხნით ბათუმის სიახლოვესაც იმუშავა პედაგოგად. 1911 წელს კი კვლავ ქუთაისს დაუბრუნდა. ასე რომ, ორი წელიც არ გაუტარებია სამსახურში. კონფლიქტით დაასრულა პედაგოგობა. დაწყვეტამდე დაძაბული ნერვებით მას არ შეეძლო ცხოვრების რკინის კანონებს მინდობოდა. მისი „ურო“ და „გრდემლი“ ფანქარი და საწერი ფურცელი იყო...

ქუთაისის გაზეთებმა ფართოდ გაუღეს კარი. მართავს ლიტერატურულ საღამოებს. ქუთაისში პოეტის სახელი უკვე ყველამ იცის. ყველა გრძნობს, რომ მისი სახით დიდი პოეტი მოდის. დედა მაინც უკმაყოფილოა. სხვებს არც სახელი აქთ, არც დიდება. ვერც ნიჭიერებით შეედრებიან მის შვილს, მაგრამ ცხოვრება ნორმალურად აიწყეს, დაოჯახდნენ, მსახურობენ. გალაკტიონის კბილა ყმაწვილები უკვე „საჭირო“ კაცები არიან. გალაკტიონი კი კვლავ მშიერი დადის, კვლავ სხვისი ხელის შემყურე. დედა საყვედურს – საყვედურზე უგზავნის ქუთაისში.

„ფიქრიდან განუშორებელო საყვარელო შვილო ჩემო გალაკტიონ პირველად ვისურვებ შენთვის ყოველივე კეთილს, რაც ჯობია შენთვის... ამას ვთხოვ ჩვენს მოწყალე ზეციურ მამას, რომ შენი თავის საქმე კარგად წაიყვანოს... მარტო შენ ჭკუაზე ნუ მიდიხარ და ჩვენიც დაიჯერე. ნასწავლი კაცი ტყუილათ უსარგებლო ნუ გაარონინებ შენს დღე და მოსწრებას. არც შენ თავს არგიხარ სასიკეთოდ და არც ოჯახს. თუ რა გაქვს საქმეები, იმის ჯავრი არა გაქვს, ასთე არ შეიძლება ცხოვრება. ნუ იქნები თაფის და ოჯახის უსარგებლო...“

გაგრძელება იქნება

გია მურღულია:

ატესტაციას არ უნდა ატარებდეს სკოლის დირექტორი!

მესამე გვერდიდან

გრა. იყო გაუთავებელი მითქმა-მოთქმა, ჭორი. ეს ყველაფერი, რასაკვირველია, არ უწყობდა ხელს სკოლის სტაბილური მუშაობის ატმოსფეროს შექმნას. ჯანსაღი კონკურენცია სხვა არის, ხოლო როდესაც ხელოვნური რანჟირება ხდება მასწავლებლისა არა განსწავლულობის მიხედვით, არამედ მაამებლობის კოეფიციენტის მიხედვით, ეს უკვე აღარ ვარგა.

ჩვენ ძალიან ბევრი ვიფიქრეთ იმის თაობაზე, თუ რაგვარად უნდა შეფასებულიყო მასწავლებელი და შემუშავებულ იქნა ეს ექსპერიმენტი. პირველ რიგში მასწავლებელი არის ის, ვინც თავისი საგანი იცის. ზოგიერთები ცდილობენ, სხვაგვარად წარმოადგინონ – შეიძლება საგანი არ იცოდეს, მაგრამ მაინც კარგი მასწავლებელი იყოს. მე ვთვლი, რომ რბილად რომ ვთქვათ, ეს უტრირებული მსჯელობაა. ერთ-ერთი ბოლო შეხვედრის დროს ითქვა, რომ ატესტაციას სკოლაში უნდა ატარებდეს სკოლის დირექტორი და დარბაზს, ჩემდა გასაოცრად, ტაში დაუკრა ამას. ატესტაციას არ უნდა ატარებდეს სკოლის დირექტორი! მას უნდა ატარებდეს სისტემა. სკოლის დირექტორი უნდა იყოს ძირითადი განმახორციელებელი ამისა, მაგრამ მარტო მასზე, მის განწყობაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული მასწავლებლის ბედი. პირველ რიგშია საგნის ცოდნა, მეორე მომენტი მდგომარეობს შემდეგში: შეიძლება კარგად იცოდეს საგანი, მაგრამ გაკვეთილი ვერ ჩაატაროს, არ ჰქონდეს ბავშვებთან კონტაქტის დამყარების უნარი. ეს ძალიან დიდი მომენტია. ოსტატობა სჭირდება პედაგოგობას. ამიტომ მეორე პარამეტრი ასეთია: პედაგოგიური ოსტატობის დონე. მესამე პარამეტრია პედაგოგიური საქმიანობის შედეგი, ანუ ბავშვების განსწავლულობა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ბავშვებში ჩანს ჩვენი მოღვაწეობის ნაყოფი. მასწავლებელი კედება თავის ბავშვში, როცა ბავშვი ცოცხლდება. თუმცა მასწავლებელი საბოლოოდ მაინც არ კედება, რადგან სხვა მოსწავლეები მოდიან და შემდეგ ისინი იწყებენ ახალ სიცოცხლეს. ეს პარამეტრი ძალიან ფარდობითია და ჩვენ ის დავაყენეთ მაღლა. თუმცა, ყველაზე მაღლა არა, იმიტომ რომ შეიძლება მასწავლებელი ოთხი თვის განმავლობაში ასწავლიდეს ახალ კლასს და ამ დროს მოუწიოს ატესტაციის გავლამ. თუ ეს. ბავშვები ძალიან კარგად მომზადებულნი არიან, ეს შეიძლება სხვა პედაგოგის დამსახურება იყოს, თუ ბავშვები ვერ აკლენენ სათანადო მომზადების დონეს, შეიძლება ეს სხვა პედაგოგის ბრალი იყოს და არა იმისი, ვინც ახლა ასწავლის. შემდეგ არის. შემოქმედებითი დამოკიდებულება საქმისადმი. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ მასწავლებელი იღვწოდეს საიმისოდ, რომ სრულყოს თავისი მომზადების და მუშაობის დონე. იქნებ მას რაღაც პუბლიკაციები აქვს, ჩვენ არ ვითხოვთ ამას. ვიცით, რაოდენ ძნელი იყო მაშინ რაიმეს გამოქვეყნება, მაგრამ იქნებ პედკითხვებში აქვს მონაწილეობა მიღებული ან სხვა რამ. ეს ყველაფერი გასათვალისწინებელია. ჩვენ გვსურს, რომ მასწავლებლის ერთი მისხალი არ დაიფაროს, რაც გაუკეთებია და შეუქმნია თავისი პროფესიული სრულყოფისათვის და ბავშვის აღსაზრდელად. ამიტომ ვამბობთ ჩვენ, რომ ეს მოდელი არის მასწავლებლის სიფარულით და მის მიმართ დიდი პატივისცემით შედგენილი.

შემდეგ არის თანამშრომლობის კულტურა და ბოლოს შრომითი და საშემსრულებლო დისციპლინა. ეს ექსი პარამეტრი არის ის, რაც მასწავლებელს ობიექტურად შეაფასებს. რატომ ვამბობთ ჩვენ, რომ ობიექტურად. წინა მოდელი ატესტაციისა დამოკიდებული იყო მხოლოდ ადამიანის წესიერებაზე, სხვაზე არაფერზე.

გარანტია ობიექტურობისა აღემატება დაახლოებით 90%-ს. ფაქტობრივად, თუ სადმე სამართალია, ობიექტურობის მაღალი დონეა გარანტირებული, მაგრამ თუ ვინმე ფიქრობს, რომ ეს მარტო სიტყვიერად გაცხადდება, ძალიან ცდება. სისტემა ძალიან მკაცრად შეამოწმებს მიღებულ გადაწყვეტილებებს და ყველა, მათ შორის სკოლის დირექტორი, პასუხს აგებს იმაზე, რამდენად ობიექტურად არის ჩატარებული ატესტაცია. აფასებს სისტემა და არა კაცი. თუმცა, ადამიანის ფაქტორს ვერ გამოვრიცხავ.

– არიან პედაგოგები, რომელნიც გარკვეული მიზეზებით სკოლის გარეთ არიან დარჩენილნი. რა გზებით უნდა დაბრუნდნენ ისინი სკოლაში?

– პედაგოგებს, რომლებიც ამ ატესტაციით წავლენ სკოლიდან, ეძლევათ საშუალება, მოემზადონ, სრულყონ თავისი ცოდნა, გაიარონ ხელახლა ტესტირება ერთი წლის შემდეგ და ნებისმიერ სკოლის დირექტორს ეძლევა უფლება, მიიღოს იგი სკოლაში. ხოლო კიდევ ერთი წლის შემდეგ სრული მოცულობით გაივლიან ატესტაციას. აქვე მინდა მოგახსენოთ, რომ წინა მოდელი ატესტაციისა პედაგოგის ღირსებებს ვერ აფასებდა. ხუთ წელიწადში ერთხელ ჩატარდება ატესტაცია. მასწავლებელს უფლება ეძლევა, იგი გაიაროს რიგგარეშე და აიმაღლოს კატეგორია, თუნდაც ერთი წლის შემდეგ. არანაირი შეზღუდვა ამისა არ არსებობს.

ხოლო ისინი, ვინც სკოლაში ამჟამად არ არიან და აქვთ სურვილი მუშაობისა, ტესტირებას გაივლიან, მაგრამ მთელი მოცულობით ატესტაციას ისინი ერთი წლის შემდეგ სკოლაში დასრულებენ.

– დებულების მიხედვით, ის პედაგოგები, რომელნიც ორ ან მეტ საგანს ასწავლიან, თავად ირჩევენ საგანს ტესტირებისათვის. ხომ არ გამოიწვევს ეს გარკვეულ საგნებში არაკვალიფიცირებული კადრების დარჩენას?

– პედაგოგი არჩევანს აკეთებს იმ შემთხვევაში, თუ თანაბარი დატვირთვა აქვს ორივე საგანში. სხვა შემთხვევაში იგი ტესტირებას გაივლის იმ საგანში, სადაც სრულადაა დატვირთული.

– თუ ერთნაირად დატვირთულია ორ საგანში, მაშინ?

– ჩვენ ამაზე ვიფიქრეთ და მივიღეთ გადაწყვეტილება. სასურველი იყო, რომ ორივე საგანში გაეკლო ატესტაცია, მაგრამ დღევანდელ რეალობებს ვითვალისწინებთ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ეს ისეთი საკითხებია, რომელთა დახვეწა და გადაწყვეტა შესაძლებელია. მინდა რომ საგანგებოდ აღვნიშნო, ჩვენ მზად ვართ გავითვალისწინოთ შენიშვნები და მივიღოთ კიდეც. არც ერთ ჩვენგანს არ აქვს შეუმცდარობის ილუზია, შეუმცდარი არავინ არის.

მე ხშირად მაძლევენ შეკითხვას, თუ რამდენ კითხვას უნდა უპასუხოს მასწავლებელმა, რომ იგი მაღალი დონის პედაგოგად ჩაითვალოს. ჩვენ ჩავატარეთ ასეთი ექსპერიმენტი: მე მომცეს 70 შეკითხვა. აქედან 67-ს ეუპასუხე სწორად. მე არ შემიძლია ვთქვა ის, რომ არ ვიცი ის საკითხები, რომელსაც ვერ ეუპასუხე, მაგრამ ჩვენ ადამიანები ვართ. გვაქვს შეცდომის უფლება. არავინ ითხოვს იმას, რომ ყველა კითხვაზე იქნას გაცემული პასუხი 85% უკვე მაღალ შედეგად ითვლება.

– ვთქვათ, პედაგოგი შეუფერებელია დაკავებული თანამდებობისათვის – იგი, რაღა თქმა უნდა, ტოვებს სკოლას. ახალგაზრდა შეძლებს იმას, რომ ცხოვრების სხვა გზა მოძებნოს, მაგრამ ადამიანი, ავად თუ კარგად, ოცი წელი ემსახურა სკოლას და იგი მიდის. მიდის სად, ქუჩაში? ეს ხომ არ არღვევს ადამიანის უფლებებს?

– ეს საკითხი განათლების სისტემის გასაზრებელი არ არის, იგი სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს. კარგია თუ ცუდი, ეს მასწავლებელი მოქალაქეა და სახელმწიფო ვალდებულია, იზრუნოს მასზე. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ არავის აქვს უფლება, დაიჭიროს ბაირაღი სოციალური მოთხოვნებით და აფრიალოს ის. უნდა გითხრათ, რომ განათლების სისტემა ყველაზე მწვავედ აყენებს სოციალურ საკითხს. შეიძლება ეს აშკარად არ ჩანდეს. განათლების სისტემის სრულყოფასთან ერთად უნდა ვიზრუნოთ მასწავლებლის სოციალურ პრობლემებზე. სახელმწიფოს უნდა მოეთხოვოს, რომ განათლება იყოს გამოცხადებული უპირველეს საკითხად. სახელმწიფო დიდ ვალშია მასწავლებლის წინაშე. ის, რომ მასწავლებელს თვეობით არ ეძლევა ხელფასი, ეს დანაშაულია. უნდა ვიაროთ ორ სტრატეგიულ შარაგაზე ერთდროულად: პირველი, პედაგოგის სოციალური უზრუნველყოფა, მეორე – რეფორმები განათლების სისტემაში. ჩვენი აზრით, ამ ორ გზათაგან ერთ-ერთის წინ წამოწევა არ შეიძლება. რეფორმაც უნდა გატარდეს და სოციალური პრობლემებიც უნდა გადაწყდეს.

ესაუბრა ანა ჯუღელი

ტესტი პედაგოგთა ატესტაციისთვის

ქართული ენა და ლიტერატურა

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №67

I ვარიანტი

12. რა არის იადგარი?
   1. საღამოს ლოცვა
   2. საგალობელთა კრებული
   3. წმინდა მამათა კრებული
   4. ოგავ-არაკთა კრებული
   5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

13. რომელმა მარტვილმა დაასხა საჯაროდ წყალი სპარსელთა მთავარ სიწმინდეს – ცეცხლს და დაშრიტა ის?
   1. შუშანიკმა
   2. ევსტათი მცხეთელმა
   3. რაჟდენ პირველმოწამემ
   4. აბიბოს ნეკრესელმა
   5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

14. რა ერქვა პავლე მოციქულს ქრისტეს რჯულზე მოქცევამდე?
   1. პეტრე
   2. იოანე
   3. საული
   4. კაიაფა
   5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

15. რომელ ნაწარმოებშია ჩართული სულხან-საბა ორბელიანის ლექსები?
   1. „სიტყვის კონაში“
   2. „სწავლანსა და მოძღვრებანში“
   3. „სამოთხის კარში“
   4. „ქილილა და დამანაში“
   5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

16. რომელი დღესასწაული აერთიანებს ოთარაანთ ქვრივის სიკვდილს და გიორგის დაბადებას?
   1. შობა
   2. ნათლისღება
   3. ბზობა
   4. აღდგომა
   5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

17. რომელი პოეტი იღებდა მონაწილეობას 1812 წლის კახეთის აჯანყების ჩახშობაში?
   1. ალექსანდრე ჭავჭავაძე
   2. გრიგოლ ორბელიანი
   3. ალექსანდრე ორბელიანი
   4. ასეთი რაშ არ მომხდარა
   5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

18. რომელ ტაძარს აქვს წარწერა: „ხარი ლომა... მწყემსი თევდორე“
   1. გერგეტის
   2. ბეთლემის
   3. სამების
   4. ბოლნისის
   5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

19. ვისი გვარია მამულაიშვილი?
   1. ვასილ ბარნოვის
   2. იოდიონ ევდოშვილის
   3. იოსებ გრიშაშვილის
   4. ეგნატე ნინოშვილის
   5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

20. „დიდოსტატის მარჯვენის“ რომელი პერსონაჟის სიტყვებია: „ეჰა, ღამევ, სულის ჩემისაბრ ბნელო, მამცნე იდუმალნი ზრახვანი შენნი!“?
   1. თალაგვა კოლონკელიძის
   2. მამამზე ერისთავის
   3. ფარსმან სპარსის
   4. მეფე გიორგის
   5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

21. ვის ეკუთვნის ესეი „თამარ“?
   1. იოსებ გრიშაშვილს
   2. გიორგი ლეონიძეს
   3; სიმონ ჩიქოვანს
   4. ტიციან ტაბიძეს
   5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

22. ვინ ითვლება ნატურალიზმის მამამთავრად?
   1. ჯოვანი ბოკაჩო
   2. აბატი პრევო
   3. ემილ ზოლა
   4. გი დე მოპასანი
   5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

23. რა არის სძლისპირი?
   1. პირველი, კილოთი ან ზომით მისაბაძი საგალობელი საგალობელთა ჯგუფში
   2. საწესჩვეულებო ხასიათის ლექსი, სიმღერა, რომელიც ბავშვის დასაძინებლად არის განკუთვნილი
   3. მითოსური ცნება
   4. მონასტრის წესდება
   5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

24. ვინ „იწინასწარმეტყველა“ მცირე ერების სიკვდილი წიგნში „ეროვნულ ინდივიდუალობათა არსისა და დიდი სახალხო ერთეულების საგანმანათლებლო მნიშვნელობის შესახებ“?
   1. ბარბარე ჯორჯაძემ
   2. ნოე ჟორდანიამ
   3. გიორგი მუხრანბატონმა
   4. ივანე ჯაბადარმა
   5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

25. რატომ მოიხსენიება „აბოს წამებაში“ „მარჯვენითი ავაზაკი“?
   1. საპყრობილეში მყოფი აბო ამ ავაზაკს რწმენას უნერგავს
   2. ავტორი აბოს „მარჯვენით ავაზაკს“ ადარებს
   3. აბოსთან ერთად, მის მარჯვნივ, ვიღაც ავაზაკი დასჯეს
   4. ეს ავაზაკი ნერსე ერისთავის ამალაში აღმოჩნდა
   5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

26. ვის ეკუთვნის პირველი ცნობა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედელზე გამოსახული შოთა რუსთაველის პორტრეტის შესახებ?
   1. „ქართლის ცხოვრების“ უცნობ ავტორს
   2. ანტონ კათალიკოსს
   3. ტიმოთე გაბაშვილს
   4. ალექსანდრე ცაგარელს
   5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

27. ვის მიმართავს დავით გურამიშვილი: „ჩემსა კაცად მხატველს, მსახველს, რაც მე ძალ მიცს, გიქებ სახელს“?
   1. ვახტანგ V-ს
   2. საკუთარ მამას
   3. ღმერთს
   4. ღვთისმშობელს
   5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

28. ვინ შემოიტანა ახალ ქართულ პოეზიაში ეროვნული გმირის ძიების იდეა?
   1. ალექსანდრე ჭავჭავაძემ
   2. აკაკი წერეთელმა
   3. ილია ჭავჭავაძემ
   4. გრიგოლ ორბელიანმა
   5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

29. ვის მიმართავს აკაკი წერეთელი შემდეგი სიტყვებით:
   „შენს წმინდა საფლავს, გულის მოსაკლავს,
   დაფფურებ, გმირო, სულგანბუღი;
   შენგან ქებული, დავიწყებული,
   დღეს მაგონდება ჩვენი წარსული...“?
   1. ალექსანდრე ჭავჭავაძეს
   2. ბიძინა ჩოლოყაშვილს
   3. დიმიტრი ყიფიანს
   4. პატარა კახს
   5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

30. ვაჟა-ფშაველას რომელი პოემის პერსონაჟებია უშიშა და შიშნია?
   1. „ხის ბეჭის“
   2. „მანდილის“
   3. „ალუდა ქეთელაურის“
   4. „გოგოთურ და აფშინასი“
   5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

31. დავით კლდიაშვილი პირველად ილიას რომელ ნაწარმოებს გასცნობია და ვისი წყალობით?
   1. „კაკო ყაჩაღს“ – იგი მისთვის გიმნაზიელ ჩიქოვანს წაუკითხავს
   2. „დიმიტრი თავდადებულს“ – იგი მისთვის ნ.ლომოურს წაუკითხავს
   3. „კაცია ადამიანს?!“ – თვითონ წაუკითხავს
   4. ლექსს „ჩემო კარგო ქეჟანავ“ – დედას წაუკითხავს
   5. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

გაგრძელება იქნება

შენ კი მართალი ხარ, ბორის, მაგრამ...

ანუ ორი რუსეთი მართლაც არსებობს – საქართველოსთვის ცუდი და უფრო ცუდი...

მეოთხე გვერდიდან

თის ბაზების განლაგების საკითხთა შემსწავლელი კომისია, რომელსაც მეთაურობს ამ ჭეშმის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, ადმირალი ვლადიმერ გრიშანოვი.

სელეზნიოვი, რომელიც კომპარტიიდანაა პარლამენტში არჩეული და საკმაო დროის მანძილზე „პრავდის“ რედაქტორიც კი იყო, ამ ვიზიტით ცდილობს გაანეიტრალოს ბერეზოვსკის მოგზაურობების შესაძლო სასიკეთო შედეგი საქართველოსთვის და ორმხრივ ურთიერთობებში კანონმდებლის როლი ყველაე რუსეთს დაუმკვიდროს. ამას მოწმობს ხუთშაბათის პარლამენტის სხდომაზე მისი გამოსვლაც, რომლითაც მოგვცა „მეგობრული რჩევები“ იმის თაობაზე, რომ მხარი არ უნდა დაუჭიროთ ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას, ანტირუსულ განწყობილებებსა და ჯარების საქართველოდან გაყვანის მოთხოვნებს. რაც მთავარია, ღმერთმა დაგვიფაროს რუსეთთან სტრატეგიულ თანამშრომლობაზე უარის თქმისაგან.

ამ გამოსვლამ დაანახა ქართველ პარლამენტარებს ის „მეორე რუსეთი“, რომელსაც ხშირად მთელს ჩვენს უბედურებებს მიაწერენ. ოღონდ ცოტა განსხვავებული სახით: ყველა დარწმუნდა, რომ ორი რუსეთი მართლაც არსებობს – საქართველოსთვის ცუდი და... უფრო ცუდი, რომლის პირითაც ლაპარაკობდა სელეზნიოვი.

მაგრამ საეჭვოა, რომ მან შეძლო „ბორისების რუსეთისათვის“ წართვა უპირატესობა თბილისთან ურთიერთობაში. ქართველი პოლიტიკოსები ბოლო დროს საკმაოდ „გაკადნიერდნენ“ და დასავლეთისაგან მორალური და ფინანსური მხარდაჭერის იმედით მოსკოვს, როგორც ტოლს, ესაუბრებიან.

სელეზნიოვის ვიზიტზე თუკი მრავალი ითქვა და დაიწერა, პრაქტიკულად ყველას გამორჩა მხედველობიდან ზემოთნახსენები სამხედრო დელეგაცია, რომელიც რუსული ბაზების საკითხს სწავლობს. რუსეთი დღეს ჯერ კიდევ წყვეტს, სჭირდება თუ არა საქართველოში სამხედრო ბაზები – ზვიდი ათასი სამხედრო მოსამსახურე და მათი ოჯახის წევრები, დიდძალი იარაღი და ტექნიკა, რომლებიც მალე შეიძლება უზუტგოდ დარჩნენ. ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე მოვლენები ამაზე დაფიქრებას მოითხოვს. სამედო ზურგის – ცოცხალი ძალის, მარაგნაწილების, საწვავ-საცხები მასალების, სურსათის, ფულის მასის მოწოდების აწყობილი სისტემის გარეშე ჯარი გინდ გაჯილია და გინდა – არა. ამიტომ უკვე დამდეგ წელს რუსის ჯარი ჩვენს მიწაზე, სულ ცოტა, ერთი მესამედით შემცირდება – მათი ქვეყანა ფინანსური პრობლემების გამო მეტს ვერ „გაჭაჩავს“.

მოკლედ, ბორისები ამჯერადაც მართლები არიან. მათმა პრაგმატულობამ და საკუთარი ძალების სწორმა შეფასებამ უკვე მიგვიყვანა ჩეჩნეთის დათმობამდე, მთელს კავკასიაში პოზიციების მნიშვნელოვან შესუსტებამდე და, თუკი დღევანდელი პოლიტიკური და ეკონომიკური ტენდენციები გაგრძელდა, შეიძლება სულ მალე ამოკვეთოს კირზის ჩექმიანი ფეხი საქართველოში.

თენგიზ ბოგოტიშვილი

იუმორის გვერდი – ხუთშაბათობა

ანეკდოტები სიხიდან

– ბრალდებულო, მოგვიყვით, როგორ აპირებდით ბანკის გაძარცვას?

– არ შემიძლია, დარბაზი სავსეა კონკურენტებით!

* * *

– ბატონებო, – უხსნის კომისიის წევრებს ციხის უფროსი, – ამ საკანში იმყოფება ჩვენი სიამაყე! როდესაც ჩვენთან პირველად მოვიდა, მან წერა-კითხვაც კი არ იცოდა. ჩვენ ვასწავლეთ და ახლა ზის სახელმწიფო დოკუმენტების ფალსიფიცირებაზე.

* * *

მეთვალყურე ეუბნება ახალ პატიმარს:

– უპირველეს ყოვლისა, უნდა იბანავო.

– რატომ? ამაზე განაჩენში არაფერი სწერია.

* * *

– გაიგე, პატიმარი მეზობელ საკანში მკვდარი აღმოაჩინეს. თავზე კოპები ჰქონია.

– ვიცი. უბრალოდ, ტრუსიკის რეზინით უცდია თავის ჩამოხრჩობა.

* * *

– ამასწინათ გავიგე, თუ როგორ იძიეს ჩვენებურებმა შური ძმაკაცზე.

– როგორ?

– რელსებზე დააბეს.

– რა საშინელებაა! მატარებელმა გასრისა?

– არა, შიმშილით მოკვდა. ელმავლები ხომ უდენოდ არ დარბიან.

* * *

– რატომ ჩაარტყით შეშა მეზობელს?

– ნავგახი არ მომხვდა ხელთ, ბატონო პროკურორო!



* * *

– მოსამართლე:

– ესე იგი, თქვენ ნახეთ, თუ როგორ დაახრჩო ბრალდებულმა თქვენი სიდედრი?

– ვნახე.

– რატომ არ უშველეთ?

– მინდოდა, მაგრამ როცა ვნახე, რომ ჩემი დახმარება საჭირო არ იყო, აღარ ჩავერიე..

* * *

– რატომ ამბობთ უარს უკანასკნელ სიტყვაზე?

– რაც უნდა მეთქვა, ადვოკატმა თქვა, ხოლო რაც არ უნდა მეთქვა – პროკურორმა!

* * *

– მოსამართლე:

– საკვირველია, როგორ მოახერხეთ ერთი დარტყმით ხუთი კბილის ჩამტვრევა?

– უბრალოდ! თუ გსურთ, გაჩვენებთ.

* * *

– მოსამართლე:

– კიდევ ჩვენთან მოხვდით, როდის უნდა დაანებოთ ბოროტებას თავი?

– რა ვქნა, ბატონო მოსამართლე, შიმშილია, შიმშილი...

– კი, მაგრამ ამჯერად თქვენ ტანსაცმელი მოიპარეთ.

– მინდოდა სათანადოდ წარვმდგარიყავი თქვენს წინაშე.

* * *

– არიფო, ვიდრე შენ აქ ზიხარ, შენი ქალი ვიღაც კაპიტანთან დაწანწალებს.

– შეუძლებელია! ის სულ ვერ ერკვევა წოდებებში!

* * *

– თქვენ აცხადებთ, რომ მოპასუხემ

> არც რა მიშვილა ციცილმა,
> არცა ცრემლიმის დენამა,
> მიშვილა ისევ სიცილმა,
> ლაქარდიანმა ენამა

ვირთაგვა გიწოდათ? ეგებ გაცხარდა და შეცდა?

– არა, ის დიდხანს მაკვირდებოდა.

* * *

ბრალდებული:

– გთხოვთ გადადოთ პროცესი, ვიდრე ჩემი დამცველი არ გამოცხადდა.

– პოლიციამ მაშინ გტაცათ ხელი, როცა სხვის ჯიბეში დაძვრებოდით. დამცველი რას გიშველით?

– მეც სწორედ ეგ მაინტერესებს.

* * *

მოსამართლე:

– თავის გასამართლებლად კიდევ რას დაუმატებდით?

– ვერაფერს. რაც მქონდა, პროკურორს მივეცი.

* * *

ბრალდებული საბოლოო სიტყვაში ითხოვს მოწყალებას:

– დიახ, ტროლეიბუსში მოქალაქეს ჩავუყავი ხელი ჯიბეში და ამოვიღე მისი საფულე. სამაგიეროდ ჩავუდე ის, რაც მას არ ჰქონდა – ჩემი ბილეთი.

* * *

– გკითხარით, ქალბატონო, – მიმართავს მოსამართლე დაზარალებულს, – არ შეგეშინდეთ, როდესაც ბოროტმოქმედმა დაგაძალათ ბნელ კუთხეში შესვლა?

– შევშინდი, მაგრამ მე არ მეგონა, თუ ეგ უნამუსო ჩანთას გამომტაცებდა.

* * *

მოსამართლე:

– მოწმეებ, ბრალდებული ამტკიცებს, რომ თქვენ ნათესავები ხართ.

მოწმე:

– იდიოტია!

მოსამართლე:

– დავუშვათ, მაგრამ ეგ ჩვენება რომ საკმარისი არ არის?

* * *

მოსამართლე:

– ბრალდებულო, თქვენ ამტკიცებთ, რომ ტვინარეული იყავით, როდესაც მომჩივანს ბოთლი ჩაარტყით თავში?

– რასაკვირველია, აბა რომელი ჭკუათმყოფელი ჩაარტყამდა სავსე ბოთლს?

* * *

– მე გირჩევთ დამცველად ეს ადვოკატი აიყვანოთ.

– თქვენ გგონიათ შესძლებს ჩემს გამართლებას?

– უთუოდ! სულ ახლახან მე ძალლმა მიკბინა და მან შესძლო დაემტკიცებინა, რომ მე ვუკბინე ძალლს.

* * *

– ბატონო ადვოკატო, გთხოვთ აიღოთ ჩემი საქმე.

– რა ბრალდებას გიყენებენ?

– ბანკის ჩეკების ფალსიფიცირებას.

– თანახმა ვარ.

– ძალიან კარგი! ახლავე გამოგიწერთ ჩეკს.

* * *

ბავშვი გაკვირვებით უყურებს დამცველს:

– მამიკო, ამ ბიძიას რატომ აცვია ქალის ასეთი გრძელი კაბა?

– იმიტომ, რომ ის ახლა დაიწყებს გრძელ, მოსაწყენ და უაზრო ლაპარაკს.

* * *

ბანკის მმართველს ბრალი ედება დატაცებებში.

– ცუდადაა საქმე – ეუბნება ადვოკატი, – ხუთ წელს მაინც მოგვცემენ!

– გააკეთეთ ყველაფერი, რომ ერთ წელზე მეტი არ მოგვისაჯონ.

ასეც მოხდა, მაგრამ ბანკირმა ადვოკატს ჰონორარი აღარ გადაუხადა.

* * *

კამერაში სხედან ნარკომანი, მეხანძრე და სადისტი. ნარკომანი ოხრავს:

– ეხ, ნეტა ეხლა „ჭლანი" მომაწევინა!

მეხანძრე:

– მე კი ჩამაქრობინა.

სადისტი:

– შენს საჯდომზე!

უცხოური იუმორი

იყო ერთი ქალიშვილი, რომელმაც ამოირჩია საქმრო ნათესავების საყოველთაო ფარული კენჭისყრით ალტერნატიულ საფუძველზე.

* * *

მე არაფერს ვაკეთებ სამუშაოზე და ვიღებ ერთ ხელფასს. აი, ჩემი უფროსი კი, რომელიც, აგრეთვე, არაფერს აკეთებს, იღებს ორ ხელფასს. ღმერთმანი, საწყენია.

* * *

სარფიანად იქორწინა ე.ი. დუბრავინამ, გათხოვდა რა ხილბოსტნეულის მაღაზიის დირექტორ ნ.კაპუსტიანცზე. ეს უკვე მისი მეექვსე პარტიაა, სკკპ – ის ჩაუთვლელად.

* * *

გრიგოლ თევდორეს ძემ იფიქრა, იფიქრა და გადაწყვიტა, გამოსულიყო ფედერაციიდან, გამხდარიყო სუვერენული და დამოუკიდებელი. აიღო კალამი და დაწერა განცხადება მოთხოვნით, სცნონ ის ასეთად. წავიდა ამ განცხადებით იქ, სადაც საჭირო იყო. იქ მას ეუბნებიან:

– დაიგვიანეთ, ამხანაგო, თქვენ უკანასკნელი დარჩით, ყველა დანარჩენი უკვე დიდი ხანია გამოვიდა, ასე რომ, არსებითად, არცა ხართ გამოსასვლელი არსაიდან. იცხოვრეთ ისე, როგორც ხართ.

* * *

იყო ერთი ქალი, რომელსაც არ უყვარდა თავისი პროფესია. ამიტომ ის გახდა თავისი პროფესიული კავშირის განთავისუფლებული მუშაკი.

* * *

ხშირად მესმის ფრაზა: ფიქტიური ქორწინება. ამიხსენით, გეთაყვა, როდის და სად შევიტანო განცხადება ასეთ ქორწინებაზე და რა დოკუმენტებია საჭირო განცხადების შესატანად.

* * *

ააშენო მეცნიერული კომუნიზმი, დიდი ჭკუა არაა საჭირო.

* * *

დედალ კურდღელს არ ჰყავდა შვილები, – იყენებდა ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს.

* * *

არ უნდა გავთავისუფლდეთ რიგებისაგან, ეს ჩვენი ურთიერთობის ერთერთი ფორმაა.

* * *

ვკითხულობთ რა სხვადასხვა გაზეთებს და ჟურნალებს, ჩვენი ოჯახი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გარყვნილება მოდის ძირითადად უმაღლესდამთავრებული, ნასწავლი და მაღალკულტურული ხალხისაგან.

* * *

როგორ ვიმუშაოთ კომუნისტურად, თვალსაჩინო აგიტაციით ნათელია, ხოლო როგორ ვიცხოვროთ კომუნისტურად, მოგვითხრეთ დაწვრილებით.

* * *

თუ თქვენ არ სცნობთ ოფიციალურ პროსტიტუციას, ჩვენი ქვეყანა არასოდეს წავა წინ დემოკრატიის გზით.

* * *

იყო ერთი ქალი, რომელმაც აიძულა ქმარი, ევლო ფეხის წვერებზე. ის გახდა განთქმული ბაგირზე მავალი და იქორწინა სხვა ქალზე.

თარგმნა
ალექსი ბოლძვაძემ

რიკოთის უღელტეხილზე გვირაბით სარგებლობისათვის დაწესებულია გადასახადი 1 ლარის ოდენობით

კონცერნ „საავტოგზის“ ხელმძღვანელის ბორის სალარიძის ინფორმაციით, რიკოთის უღელტეხილზე ავტომანქანების გვირაბით სარგებლობისათვის დაწესებულია გადასახადი 1 ლარის ოდენობით. მისივე განცხადებით, აღნიშნული გადასახადი არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, ვინაიდან რიკოთის უღელტეხილს აქვს ავტოტრანსპორტით სარგებლობის ალტერნატიული გზაც. ბორის სალარიძის ინფორმაციითვე, მიმდინარე წელს რიკოთის უღელტეხილის გვირაბში აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად გამოყოფილი იყო 1 მლნ. ლარი. ჩატარებული სამუშაოების შედეგად შეწყდა გვირაბში წყლის გამოჟონვა, აღდგენილია ვენტილაცია და გვირაბის განათება. რაც შეეხება ელექტროენერგიის ხარჯს, იგი ყოველწლიურად 600 ათას ლარს აჭარბებს. ყოველდღიურად გვირაბში გამვლელი ავტომანქანების ინტენსივობა 13 ათასს აღწევს. წინასწარი გაანგარიშებით, აღნიშნული გადასახადის დაფარვის შედეგად შემოსულმა თანხამ 900 ათასი ლარი უნდა შეადგინოს.

იბერია

მოლაპარაკება ცხინვალის რეგიონის სტატუსის შესახებ შეჩერებულია

სააგენტოს კორესპონდენტს საქართველოს სახელმწიფო კანცელარიიდან აცნობეს, რომ მოლაპარაკება ცხინვალის რეგიონის სტატუსის შესახებ ამჟამად შეჩერებულია. ასევე შეჩერებულია კონტაქტები ოსურ მხარესთან, ვინაიდან სამშვიდობო პროცესის შეფერხება გამოიწვია „სამხრეთ ოსეთში“ არჩევნების ჩატარებამ და პრეზიდენტის ინაუგურაციამ. ეს კი თავიდან ბოლომდე ეწინააღმდეგება იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც მოსკოვსა და ვლადიკავკაზში იქნა ხელმოწერილი. ჯერჯერობით არ არის ცნობილი, თუ როდის განახლდება მოლაპარაკებები მხარეებს შორის.

იბერია

საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის კონცეფცია

ანუ

პასუხები კითხვებზე:

– ვინ არიან საქართველოს მოსალოდნელი საგარეო მტრები და მოსალოდნელი საგარეო მოკავშირეები? (საგარეო პოლიტიკა)

– რომელია საქართველოს შინაგანი მოწყობის საუკეთესო გზა და პერსპექტივა? (საშინაო პოლიტიკა)

– როგორ აშენდეს საქართველოს შეიარაღებული ძალები, ვისი და ვისი მოგერიებისთვის ვემზადოთ? (სათავდაცვო პოლიტიკა)

– როგორ ავაგოთ ჩვენი განათლების სისტემა და საით წავა მისი განვითარება?

– რა არის საქართველოს უფლებები და საქართველოს მოქალაქის უფლებები საქართველოში?

აგრეთვე ბევრი სხვა კითხვის პასუხსაც თქვენ წაიკითხავთ გაზეთ „საქართველოს“ მეორე სპეციალურ გამოშვებაში, რომელიც იყიდება გაზეთების გავრცელების სისტემაში. კონცეფცია შედგენილია საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის მიერ ნოდარ ნათაძის კოორდინატორობით. სპეცგამოშვების ფასია 50 თეთრი.

საქართველო

მეორე სპეციალური გამოშვება

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის საზოგადოებრივ-კოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905 წ.წ. აღდგენილია 1989 წლის.

1996 წლის ნოემბერი

მიაკითხეთ საგაზეთო ჯიხურებში გაზეთ „საქართველოს“ მეორე სპეცგამოშვებას

კაიფვორდი



მიწოლილად: 3. წყლის ტრანსპორტი, სადაც „კატებისათვის ღვინის შესანახი ადგილია მოწყობილი“; 9. „დოლბანდიანი სულელი“ სიგარეტი (მეგრ. ნაწ.კავშ.); 11. „დაკონსერვებული“ კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 12. ცნობილი კომუნისტი ქალის „ფულიანი“ სახელი; 13. „მეტეოროლოგიურ-მასობრივი მოსასპობი იარაღი; 14. „გულმოსული“ პრეზიდენტი; 15. რუმინული გვარისა და რაჭული ხასიათის ქვეწარმავალი; 16. ცხოველი, რომელიც არ ჰგავს ხარს; 17. ლათინურ ასოზე დადებული ნამცხვარი; 19. „წინდასახული“ გლეხი, რომელიც პურ-მარილს შეეწირა; 21. შედეგრი, რომლის ნახვამაც „ნავსადგურს რეტი“ დაასხა; 25. „დასტურის მიმცემი“ საკვები პროდუქტი; 26. ქართული გაზეთი, რომელსაც თუ გააჩუმებ, შეურაცხყოფას მიაყენებ; 27. მოტივტივე, სასიგნალო „ფრინველი“; 30. „საწოლის“ ფანქარი (რუს.კავშ.); 34. სექსუალური ასოციაციის შოკოლადის კარაქი; 36. დიალექტიკური მოვლენა ფეხბურთში; 37. „შტატიანი“ სამფეხი; 38. „ველური გულის“ პერსონაჟის ხელშეწყობით აშენებული სამლოცველო; 39. „ბიჭების“ მთა სომხეთში (იტალ.კავშ.); 41. „რუსეთის საინფორმაციო პროგრამის“ წინა ოთახი; 42. „მოკლეშარვლიანი“ სპორტის სახეობა.

მიძრდნობილად 1. ავტომობილის „ორთქლიანი ჯილდოს“ ნაწილი (რუს.კავშ.); 2. იმ მეფის მეტსახელი, რომელსაც ორგანოს „ტრანსპლანტაცია“ გაუკეთეს; 3. „ქათმების ფერმის სოფელში დამზადებული ფოტოაპარატი; 4. „ოცთეთრიანი“ დაავადება; 5. ცნობილი ცხენი, რომელიც ცნობილმა იტალიელმა ფეხბურთელმა „საფრანგეთის ქალაქში“ ნახა; 6. სოფელ სკრაში გამოცემული გაზეთი; 7. „ქართული“ უშუ; 8. მწერალი, რომელსაც „შინ სახელმწიფო“ აქვს; 10. თვალის ოპტიკური დამხმარე ხელსაწყო; 17. „მაკურებლების ოვაციებით გათანაბრებული“ ნამცხვარი (რუს.კავშ.); 18. „ინგლისელი ბიჭის დამადასტურებელი“ მუსიკალური საკრავი; 20. კოვხით დასალევი, რომელიც დებილმა შვილმა ვერ დინახა; 22. ზოგიერთი უღირსი შვილის მაგივრად „გასაკეთებელი“ საგანი; 24. „ქეციანი ჩვილი“ ფეხბურთელი (ნაწ.ბავშვ. ენაზე); 29. „ცნობილი რეჟისორის“ საძოვარი; 31. „დასათვლელი“ ოპტიკური ნიფთი; 32. „გარსიანი“ მწერალი; 33. „ამ დედამიწაზილის“ მფარველობის ქვეშ; 35. მადის აღმძვრელი „ტკბილი წყვილი“; 40. „შესაკერელი“ ჩეხური ფეხსაცმლის ფირმა.

P.S. 23. „სოფლის სატრანსპორტო“ დაავადება.
28. „ინტერნაციონალურ ვალიანი“ მანძილი.

მეუღლე ოლია, შვილები დევი, ეკა, ძმა ზურაბი, შვილიშვილები სოფო, სანდრო, ლიზა ქარცივაძეები, რძლები ქეთინო იაკობაშვილი, თამრიკო ბერიშვილი, ბიძა ირაკლი ბიუსი ოჯახით, მძახლები ასიკო, ლამარა ბერიშვილები, თამარ, ქეთევან ესაიაშვილები, ციცო, ნათელა, ირინა, ნუგზარ, თენგიზ ფურცელაძეები, მზია ტურაბელიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბუნარ ამირანის ძე ქარცივაძე

პანაშვიდი: 15, 16 დეკემბერს, 16.00 საათზე.
გამოსვენება: 17 დეკემბერს, 14.00 საათზე.
მის. ბარნოვის №64



კროსვორდი

თარაზულად: 1. უნგრეთის დედაქალაქის ნაწილი; 4. ხორბლის ჯიში; 8. თვითმკვლელობა იაპონურად; 9. ჭეშმარიტების წვდომა უშუალოდ, დასაბუთების გარეშე; 11. სახელმწიფო-ტერიტორიული ერთეული; 12. ჰიტლერული გერმანიის ავიაციის მინისტრი; 13. მემამულე, მსხვილი მიწათმფლობელი აზნაური ყოფილ პრუსიაში; 14. ქსოვილი; 17. გაზის ან სითხის შთანთქმა მყარი ნივთიერების ზედაპირის მიერ; 20. რომელიმე ენის ბგერათა ზუსტი გადმოცემა პირობითი ასოებით; 23. პერსონაჟი ბიზეს ოპერისა „კარმენი“; 26. სხვისი ნების უსიტყვოდ შემსრულებელი პიროვნების ან მთავრობის ეპითეტი; 28. უფლისწულის ტიტული პორტუგალიაში; 30. მასობრივი კრება; 31. სამოსელი; 32. წყალში ხსნადი უმარტივესი ცილა; 33. მცურავი ყინულის მთა; 34. ვაზის დაავადება; 35. ფირმის, საქონლის, მომსახურების სახე (დონე), რაც უზრუნველყოფს ბაზარზე ფირმის მდგომარეობას, მყიდველის ერთგულებას ფირმის მარკისადმი.

შვეულად: 2. ტექსტის ასაწყობად საჭირო სასტამბო ლიტერებისა და ნიშნების ერთობლიობა; 3. შტატი ამერიკაში; 4. პერსონაჟი მ.შოლოხოვის რომანისა „წყნარი დონი“; 5. საბალეტო უსახელოებო ტანსაცმელი; 6. მთელი გუნდის მიერ მოწინააღმდეგის პირისპირ თამაში ახლო მანძილზე კალათბურთსა და ხელბურთში; 7. მექსიკის ინდიელთა ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი ხალხი; 8. პოეტი, რომლის შემოქმედება სპარსული ლირიკის უმაღლეს მწვერვალად არის აღიარებული; 10. ორსულობის ნაადრევი შეწყვეტა; 15. დედალი ცხვარი; 16. რუსი ფიზიკოსი და ელექტროტექნიკოსი; 18. სურნელოვანფოთლიანი მცენარე; 19. კანტორა, სამმართველო; 21. ლადო ასათიანის ლექსი; 22. შინაურული, მეგობრული, გულითადი; 24. კინოს მოძველებული სახელწოდება; 25. სოფელი დასავლეთ საქართველოში; 26. ნაციონალისტური პარტია აზერბაიჯანში; 27. ჭურჭელი მარცვლეულის, ფქვილის, რძის ნაწარმის შესანახად; 29. ერთ-ერთი თანამედროვე გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე ქალის სახელი; 30. ქალაქი ბელორუსიაში.

გ.გასიტაშვილი

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444